ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 2658
სამშაბათი,
2 ნოემბერი

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1904

გაზეთი ღირს: წლიურად—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და ამხ. განცხადებათა კონტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა მოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინა
ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთი თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი №

ხელის მოწერა 1905 წლისათვის.

ყოველ დღიური გაზეთი
წლიწადი „ცნობის ფურცელი“ მეათე
სურათებიანი დამატებით.
ფასი გაზეთისა გაგზავნით
კავკასიაში და რუსეთში: ერთის წლით 6 მანეთი.
საზღვარ გარედ: ერთის წლით 9 მანეთი.
წლიური ფასის განაწილება: ხელის მოწერისათანავე 4 მან. და დანარჩენიც 1-ლ მარტამდე.

ყოველ თვიური ჟურნალი
წლიწადი „მოამბე“ მეთორმეტე
ფასი ჟურნალისა გაგზავნით
კავკასიაში და რუსეთში: 1 წლით—10 მ., ცალკე №—1 მან.
საზღვარ გარედ: 1 წლით—13 მ., ცალკე—№ 1 მ. 20 კ.
ვინც „მოამბეს“ მთელის წლით გამოიწერს, სურათებიანი დამატებანი და „ცნობის ფურცელი“
უფასოდ გაეგზავნება

მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მანეთი, რომელიც ხელის მოწერისათანავე უნდა იქმნას შემოტანილი.
წლიური ფასის განაწილება: პირველად—6 მან. ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის, და 5 მანეთი ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—8 მან., 1-ლ აგვისტომდე—დანარჩენი.
(გარკვევით უნდა დაიწეროს სახელი გამოცემისა, რომელსაც იწერთ)

როგორც „ცნობის ფურცლის,“ ისე „მოამბის“ მხოლოდ წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ თხზულება გამოჩენილ ესპანელ მწერლის სერვანტესის
„დონ-კიხოტი“
დორეს სურათებით.
ეს თხზულება ნათარგმნია ნიკოლოზ ავალიშვილის მიერ და შედარებულია ვიარდოს ფრანგულ თარგმანთან ალექსანდრე სარაჯიშვილის დახმარებით.
ორი ტომი შეიცავს დაახლოვებით 1700 გვერდს (სამასამდე სურათით), შრომიად დარიგებულ
ყაზბეგის ნაწერების ფორმატისას.
1905 წ. ხელის მომწერთ დაურიგდებათ პირველი ტომი, ხოლო მეორე ტომი გაეგზავნებათ 1906 წლის ხელის მომწერთ.
ვინც 1906 წ. არ ისურვებს ჟურნალ-გაზეთზე ხელის მოწერის გაგრძობას, მას შეუძლიან 1906 წლის დამდეგს მიიღოს მეორე ტომი, რისთვისაც დაუმატებს 2 მან. 50 კაპ. ტფილისში მცხოვრები და 3 მან. 20 კ. ტფილისს გარედ მცხოვრები. აგრეთვე 1906 წ. ახალი ხელის მომწერი მიიღებს პირველ ტომს ამავე პირობით.
პრემიის გასაგზავნად ტფილისს გარედ ხელის მომწერლებმა უნდა დაუმატონ 70 კაპ. წლიურ ფასის გარდა.
გარდა ამისა „მოამბის“ წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ
„მასალები საქართველოს ისტორიისათვის“
ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მის ძმებისა.
ეს წიგნი ახლად ნაპოვნ ხელთ-ნაწერიდან იბეჭდება და შეიცავს 300 გვერდს „მოამბის“ ფორმატისას.
რედაქციის კანცელარიის ადრესი: ვანქის დიდი ქუჩა, ქ. ამხანაგობის სადგომში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію „Моамбе“-„Цнобисъ Пурцели“.

ქართული წარმოდგენა. სახაზინო თეატრი.
ოთხშაბათს, 3 ნოემბერს, ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება
თავ. ალ. სუმბათაშვილის „ღალატი“ დრამა-ლეგენდა 5 მოქ.,
ცნობილი პიესა თარგ. გ. ყიფშიძისა.
ადგილების ფასები ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
მთავარ როლებს შეასრულებენ: ტასო აბაშიძე—გაიანე, ნ. გაბუნია-ცაგარლისა—იახარ, ა. კარგარეთელი—რუქაია, ნ. ჩხეიძე—ზეინაბ, ვ. აბაშიძე—ბესო, ვ. გუნია—ოთარ-ბეგ, ივანიძე—საბა ბერი, კ. ყიფიანი—ანანია გლახა, სვიმონიძე—დათო, ჩარკვიანი—ირაკლი, შალიკაშვილი—სულეიმან-ხანი და სხვ.
(3—უ—2) მორიგი რეჟისორი ვალერიან გუნია.

სახაზინო თეატრი. ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტ. ლ. დ. დონსკოისა.
სამშაბათს, 2 ნოემბერს 1904 წელს
წარმოდგენილი იქნება „დემონი“ ოპერა 3 მოქ. მუსიკა რუბინშტეინისა.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ორელი, მიხაილოვა, ხარიტონოვა; ბ-ნნი: ბოგდანოვიჩი, პოლუიანოვი, დემიანენკო, ზალინსკი, მურატოვი.
კაპელმეისტერი ეიხენვალდი. ფასები ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
3 ნოემბ. ქართული წარმოდგენა—„ღალატი“. დრამა თავ. სუმბათაშვილისა. გამგე ი. ა. კელლერი

საფაბრიკო საწყობი
ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა
გ. ი. პალლიზენ
რუსეთის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკების
ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. ბაქო, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.
ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუშტიკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი, საკანცელარიო საგნები. ტელეფონი № 679. (0—180)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.
ექიმნი:
ა. ი. ბაღდასარაშვილი.—ბავშვებისა. $9^1/_2$—$10^1/_2$ ს.
გ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის ყოველ-დღე გარდა კვირისა. 10—11 საათ.
დ. ი. კამოიძე.—საშარდეთა ხირურგია და ვენერიული ყოველდღე. 12—1 საათ.
ლ. ი. ქიმონტი.—ხირურგია $11^1/_2$—$12^1/_2$ კვირაობით, სამშაბ., და ხუთშაბათ.
ა. ნ. დიასამიძე.—ვენერიული და კანისა $12^1/_2$—$1^1/_2$ საათამდე.
მ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.
ქალ. ექ. ქ. ილხილიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.
ვ. ა. ზელინი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ.
დ. ზ. მოჩინი.—ქალისა, საბებიო და ბავშვებისა და (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობ. 1—2 საათამდე.
ვ. ხ. მუსხელიშვილი.—თვალისა 2—3 საათ. ყოველ-დღე გარდა სამშაბ. და კვირისა.
ბა. ვ. ხოდოლოვსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკ. —3 საათამდე.

საღამოთი:
ბ. ვ. ხოდოლოვსკი.—ხირურგია და ორტოპედია. ოთხშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.
ტ. ს. დავიდოვი.—შინაგანი და ბავშვებისა ყოველდღე გარდა კვირისა. 5—6 საათ.
ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოთხი საწოლი სამკურნალოში მწოლიარეთათვის. კონსულტები დღეში ღირს 1 მან. საზოგადო და ნომერი 5 მან.
ადრესი: ქუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (ქუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. ... ქუჩიდან-კი 34 Б.
ტელეფონი № 274.

კბილის ექიმი
ივანე ა. ახალშენიშვილი
გადავიდა: ნიკოლოოზისა და ნეკრასოვის ქ. კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, №№ 32, 21, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-დის.

კბილის ექიმი
ელ. რომანიშვილი
მიიღებს ავადმყოფებს ახალ ბინაზე მუხრანიანთ ქუჩა, № 19, საკუთარი სახლი, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე, დილის 12 საათიდან საღამოს 5 საათამდე. (თვ.—5.—25)

ექიმი
ა. ნ. თოთრაძე
მიიღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათამდე. ვედენია, № 24, აფთიაქის თავზე. (30—332—28)

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
იღებს სიფილისით და ვენერიული სენით ავადმყოფებს, დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე ფოსტის პირდაპირ, ბარონის ქუჩა, სახლი მესხიშვილისა. (30—14)

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.
...ელის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 792

ექიმი
ბ. ი. ტერ-გრიგორიანცი
შინაგანთა, სპეციალისტი გულისა და ბავშვებს. ავადმყოფობის, რენტგენის სხივის კაბინეტი. დილის 10—11 საათ. და 5—6 საღ. მიხეილის პრ. № 154 ტელეფონი № 825. (20—296—23)

ექიმი
ი. ე. გამბურგერი
გრიბოედოვის ქ.—27. იღებს შინაგანითა და ნერვებით ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათამდის. სამკურნალო-სადიოგნოზო კაბინეტი ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევანი ნახველისა, სისხლისა, შარდისა და სხვ. (30—365—1)

გორის მაზრის სოფელ ახალქალაქში იყიდება საგარაკო მამული. ცხრა დღიური სახნავ-სათესი და ერთი დღიური ვენახი. მამული შემკულია წყაროებით და ყოვლად შესაფერია მოაგარაკეთათვის. პირობების შეტყობა შეიძლება სადგურ ქიურდამირის უფროსის ვლადიმერ მიხეილის ძე ტატიშვილისაგან. (3—5.—1)

საუკეთესოდ მოწყობილი
ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა
წიგ. გამ.ქართ. ამხანაგობისა.
ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.
პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ

ცინკოგრაფია
წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობ
ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.
კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიულ სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“
31 ოქტომბერი

პეტერბურგი. 31 ოქტომბერს, დილის $9^1/_2$ საათზე იმ ადგილებიდან, სადაც შორეულ აღმოსავლეთში მიმავალი ჯარი დგას, დაბრუნდნენ ცარსკოე სელოს ხელმწიფე იმპერატორი და დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე. სადგურზე მიეგებნენ: გზათა მინისტრი, მისი უდიდებულესობის კონვოის უფროსი, პეტერბურგის გუბერნატორი და სხვები. ხელმწიფე იმპერატორი სადგურიდან სასახლეში წაბრძანდა. დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე გატჩინოს სადგურზე გამოვიდა საიმპერატორო მატარებლიდან.

სტამბოლი, 31 ოქტომბერი. ორივე მხარე უარჰყოფს ამ ბოლო დროს ინგლისის წყაროდან მიღებულ ამბავს, ვითომ რუსეთი სცდილობდეს ოსმალეთის ნებართვა მოიპოვოს დარდანელში შავი ზღვის ესკადრის ერთი ნაწილის გასაყვანად.

დალნი, 30 ოქტომბერი (საკუთ. კორ.). დღეს მთელი დღე მე-4 და მე-10 კორპუსის ფრონტზე ზარბაზნების სუსტი სროლა იყო, რომელიც საღამო ჟამს შეწყდა. ყველაზე უფრო მძლავრად უშენდნენ ყუმბარებს სოფ. შალამზის.

სტამბოლი, 31 ოქტომბერი („კორ. ბიურო“). რამდენიმე დღის შემდეგ გაივლის სრუტეში რუსის უკანასკნელი ორი გემი ნახშირითა და წყლით ბალტიის ესკადრის-თვის.

დაკარი, 30 ოქტომბერი („ჰავასი“). რუსეთის ესკადრას, რომელიც ადმირალის როჟესტვენსკის უფროსობით დაკარსა და რუფისკის შუა დგას, შეადგენენ: ჯავშნიანი გემები—„კნიაზ სუვოროვ“, „ალექსანდრე III“, „ბოროდინო“ და „ოსლიაბია“, კრეისერები,—„ადმირალ ნახიმოვ“, „დმიტრი დონსკოი“ და „ავრორა“, ტრანსპორტები | „კამჩატკა“, „ანადირ“, „მალაია“, „კორეა“ და „მეტეორ“ და მცურავი საავადმყოფო, „ორიოლი“. ესკადრასთან გემია სურსათით და ნახშირის გემი „მენცელი“.

ხარკოვი, 31 ოქტომბერი. მოვიდა სახალხო განათლების მინისტრი. ღამე პუშკინის ძეგლის ახლოს რაღაც უცნობი ყუმბარა აფეთქდა. ხმა ქუხილის გრიალს ჰგავდა. დაწვრილებითი გამოძიება სწარმოებს. არავინ არ დაშავებულა.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან.“
31 ოქტომბერი

პეტერბურგი, 31 ოქტომბერი. პეტერბურგში მყოფმა ინგლისის ელჩმა აცნობა გარეშე საქმეთა მინისტრს, რომ ინგლისის წარმომადგენლად საერთაშორისო კომისიაში, რომელმაც ჩრდილოეთ ზღვაში მომხდარი ამბავი უნდა გამოიკვლიოს, დაინიშნა ვიცე-ადმირალი სერ ლუის ანტონ ბომონი.

ლონდონი, 30 ოქტომბერი. იაპონიის აქაური საელჩო უარჰყოფს ხმას გენერალ კუროკის სიკვდილის შესახებ.

ტოკიო, 31 ოქტომბერი („ცენტრალ ნიუს“). რუსის რაზმმა, რომელიც შესდგებოდა ქვეითა ჯარის 100 კაცისა და 300 ცხენოსნისაგან, იერიში მიიტანა ოიამას მარცხენა ფრთაზე, უთუოდ იაპონელთა დასაზვერად. რუსები უკუაგდეს იაპონელებმა. რუსებმა პარასკევსაც მიიტანეს იერიში, მაგრამ იაპონელებმა განდევნეს.

სევასტოპოლი, 31 ოქტომბერი. სევასტოპოლის საადმირალოში საძირკველი ჩაჰყარეს ახალ საესკადრო ჯავშნიან გემის „იოან ზლატოუსტი“, 12,000 ტონნისა. დაესწრნენ შავი ზღვის ფლოტის უფროსი ვიცე-ადმირალი ჩუხნინი, მოხელენი და დიდძალი ხალხი.

ღამის დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. „ეკო დე პარი“-ს პეტერბურგელი კორესპონდენტი იუწყება: გენ. ლინევიჩის პირველ არმიაში ჩაირიცხება ციმბირის პირველი, მე-2, მე-3 და მე-4 კორპუსი და ორი მსროლელთა ბრიგადა. შტაბის უფროსად დაინიშნა გენ. ანდრეევი. გენ. გრიპენბერგის მე-2 არმიაში ჩაირიცხება ციმბირის მე-5 კორპუსი, არმიის მე-8, მე-14 და მე-16 კორპუსი და ერთი მსროლელთა ბრიგადა. მე-14 და მე-16 კორპუსები ეხლა იგზავნებიან მანჯურიაში. ამ არმიის შტაბის უფროსად გენ. რუზსკი იქნება. გენ. კაულბარსის მე-3 არმიაში ჩაირიცხება: ციმბირის მე 6 კორპუსი, არმიის პირველი, მე-10 და მე-17 კორპუსები და 2 მსროლელთა ბრიგადა; შტაბის უფროსად გენ. ბეზრადეცკი იყოლება. გენ. კაულბარსის არმია რუსის ჯარის მარჯვენა ფრთაზე გენ. ოკუს არმიის პირდაპირ იმოქმედებს. გენ. გრიპენბერგის არმია გენ. ნოძუს პირდაპირ იმოქმედებს და გენ. ლინევიჩის არმია რუსის მარცხენა ფრთაზე გენ. კუროკის არმიის პირდაპირ იმოქმედებსო. („რ. ლ.“).

გენ. სახაროვი 24 ოქტომბერს იუწყებოდა: სოფ. იუდელაიძის მსწრაფლ-მსროლელი ზარბაზნები, მორტირები და საალყე ზარბაზნები დავუშინეთო; სოფ. იულაიძის ცეცხლი წაეკიდა და სულ დაიწვაო. „ნოვოსტი დნია“-ს სამხედრო მიმომხილველი სწერს ამის თაობაზე: „ამ დეპეშაში ყველაზე საყურადღებო ისაა, რომ რუსებს მდ. შახეზე საალყე ზარბაზნები ჰქონიათ. იქვე ახლო რომ ჰქონოდათ ეს ზარბაზნები და დაედგათ, ეს საკვირველი აღარ იქმნებოდა, მაგრამ რუსებს განგებ შორიდან მიუტანიათ საალყე ზარბაზნები და მდ. შახეს პირად პოზიციებზე დაუდგამთ. რუსები მთელი თვეა ძალზე ამაგრებენ შახეს ნაპირებს: დიდ-ძალი სიმაგრე ააშენეს, სანგრები და რედუთები გამართეს და ბატარეები დადგეს. ამასაც არ დასჯერდნენ და საალყე ბატარეებიც დადგეს. აქედან ცხადად სჩანს, რომ რუსის ჯარი მედგარ წინააღმდეგობას გაუწევს იაპონელებს და ძლიერ ეცდება, რომ მარშალ ოიამას არმია მუკდენისაკენ აღარ გაუშვას. დიდი ძალა აქვთ საალყე ზარბაზნებს: დიდი, მძიმე ყუმბარა აქვთ, მეტად შორს ისვრიან და ყველაფერს მტვრად აქცევენ. ამავე დროს თუ ჯარს უკან დახევა მოუხდა, ეს ზარბაზნები ხათაბალად ხდებიან; იმათი დაძვრა და წაღება მეტად ძნელია (თითო ზარბაზანი 300—400 ფუთს იწონის). ეს უზარმაზარი ზარბაზნები პირდაპირ მიწაზე როდი დგას; მაგარ საძირკველს აშენებენ და ზედა სდგამენ, თორემ პირდაპირ მიწაზე რომ დადგან, ეს ზარბაზნები შიგ ჩაიფლობა და იმათი მოხმარება შეუძლებელი გახდება. როცა ჯარი უკან მიდის, ეს ზარბაზნები მუდამ პოზიციაზე რჩება; მაგალითად, ცინჩოუსთან რუსებს 68 საალყე ზარბაზანი დარჩათ პოზიციებზე. საალყე ზარბაზნები იმის მომასწავებელია, რომ მომავალი ბრძოლა მდ. შახეზე მეტად მედგარი და საზარელი ბრძოლა იქნება.

„ბირჟევია ვედომოსტი“-ს დეპეშით ატყობინებენ, იაპონია ახალ ნასესხებ 12 მილიონ გირვანქა სტერლინგს (120 მილიონ მანეთს) სულ ახალ სამხედრო გემების სყიდვას მოახმარებსო. („რ. ვ.“).

პორტ-არტური. მუდამ არეული ცნობები მოდიოდა პორტ-არტურზე და ბოლოს დროს ხომ ისეთი არეული ცნობები მოაქვთ დეპეშებსა და გაზეთებს, რომ კაცს ვერ გაუგია, რა მდგომარეობაშია ამჟამად პორტ-არტური. ცხადი მხოლოდ
რომ გენ. ნოგის არმია ეხლა უფრო ბ
თად მოქმედებს და პორტ-არტური უ
დიდ განსაცდელში ჩავარდნილი, ვ
აქამდე იყო.

„რუსკია ვედომოსტი“-ს სამხედრო მიმო
ლველი ბ-ნი ს. კ. სწერს: „ეტყობა, გენ.
გის არმია მხნედ მოქმედებს პორტ-არტ
თან, ეგაა ჩვეულებრივ უტყუარი ცნობ
მოდის პორტ-არტურზე. ჩიფუდან მიღ
კერძო დეპეშებს მეტად არეული, ერთ
ორის წინააღმდეგი ცნობა მოაქვთ:
რიგი დეპეშა იუწყება, რუსებმა იაპ
ლების შტურმი ყველგან მოიგერიეს და
დი ზარალიც მისცეს გენ. ნოგის არმია
მეორე რიგ დეპეშას პირიქით ისეთი ცნობ
აქვს, ვითომ რუსეთის უკანასკნელ ბ
ყვითელ ზღვაზე მეტად ცუდი დღე დას
მოდეს და დიდ განსაცდელში იყოს ჩ
დნილი. „რეიტერის სააგენტოს“ დე
ირწმუნება, ვითომ 25 ოქტომბერს ი
ნელებს კიკვანშანზე იერიში მიეტანო
ექვსის საათის გამწვავებულ ბრძოლის
დეგ რუსები ერლუნგშანის ტრანშეებიდა
ნედევნოთ, ფორტი დაეჭირთ და რ
მწყრის გორაზე წასულიყვნენ. იგივე დ
იუწყება: მეორე დღეს, 26 ოქტომბ
იაპონელებმა ლიაოტეშანის ფორტზე ერ
შად ორის მხრიდან მიიტანეს იერიში,
სავლეთიდან—მტრედის ბუხტიდან და ჩ
ლოეთ-აღმოსავლეთიდან, ესე იგი ანც
ნისა და იშანის ფორტების მხრიდან. თ
ცნობა მართალია, ეს უკანასკნელი ფ
ტები და ყველა დასავლეთ-ჩრდილო
ფორტი 25 ოქტომბრამდე იაპონელ
ხელში უნდა გადასულიყო, უამისოდ ი
ნელები იერიშს ვერ მიიტანდნენ ამ ფ
ტებიდან ლიაოტეშანზე. „ბერლინერ
გებლატ“-ს 25 ოქტომბერს დეპეშით ა
ბინებენ მუკდენიდან: იაპონელები
ბენ, გენ. ნოგის არმიას ამ ჟამად ო
გორაზე მიაქვს იერიშიო. თუ ეს ც
სწორეა, ციხის აღმოსავლეთი ფორ
კიკვანშანი და ლაოლუნ[illegible] იაპონე
24 ოქტომბრამდე აუღიათ და
ნოგის ამ ფორტებიდან იერიში მიუ
პორტ-არტურის უმთავრესს ბურჯზე—
რთის გორაზე. ვინ იცის, იქნება ყველ
ცნობა სწორე არ იყოს, იქნება ამ დე
ბში სულ ჩინელების ნაამბობი და ინგლ
და გერმანელ კორესპონდენტების შეთხზ
ამბები იყოს გადმოცემული, მით მაინც
გიერთი ცნობიდან სჩანს, რომ პორტ-არტ
დიდ გაჭირვებაში უნდა იყოს ჩავარდნ
„დეილი ტელეგრაფ“-ისა და „პეტ. სა
ტოს“ დეპეშებმა ჩიფუდან ორი საყ
დღებო ცნობა მოიტანეს: გენ. ნოგის
წყვეტლივ მაშველი ჯარი მოსდის იაპ
დან და რუსებმა ახალი ბატარეები და
ერლუნგშანის უკანაო. მაშველ ჯარის
ვლა მოასწავებს, რომ გენ. ნოგი ალა
ეშვება პორტ-არტურს და ციხის ფორტ
იერიშის მიტანას არ მოიშლის. მეორე
ყურადღებო ცნობა ისაა, რომ რუსებმა
ლუნგშანის უკან ბატარეები დადგესო;
დან სჩანს, რომ იაპონელებს მართლა
ღიათ ეს მნიშვნელოვანი ფორტი
ლუნგშანი). თუმცა რუსებს ერლუნგ
უკან ბატარეები დაუდგამთ, მაგრამ
ლად ერთ ორ ღამეს დადგმული
ტარეები ვერ გასწევენ წლობით აშენე
მუდმივ ფორტის მაგიერობას. ეხლა რ
მეციხოვნე ჯარი ძლიერ უნდა ეც
რომ ერლუნგშანი ან უკან დაიბრუნო
არა და იაპონელებს ზარბაზნები არ დ
გმევინოს ამ დანგრეულ ფორტის ადგი
თუ იაპონელები ერლუნგშანის ფორ
მძიმე საალყე ზარბაზნებს დასდგამე
საიმედო სანგრებს გამართავენ, მაშ
ლოქსა, პორტს და ციხის ფორტების
კედლებს 2-3 ვერსტიდან დაუმიზნებე
დაუშენენ ზარბაზნებს...

„ნოვოსტი დნია“-ს სამხედრო მიმომხ
ველი ბ-ნი პ. კ. ჰფიქრობს, იაპონელებს
რჯველ უმოქმედნიათ პორტ-არტურთა
თავიანთი საქმე კარგა წინ წაუყვანია
ბ-ნი პ. კ. სწერს: „პორტ-არტურზე მ
არეული ცნობები მოდის, მაგრამ გენ.
გის უკანასკნელმა ოფიციალურმა მოხსე
ნათელი მოჰფინა საქმეს და გარკვევით
მოგვიდგინა, თუ რა ხდებოდა პორტ-არ
რთან 17 ოქტომბრიდან 21 ოქტომბრა
ამ მოხსენებაში შემდეგი საყურადღებო ც
ბაა: „იაპონელების მარჯვენა კოლონ
ცენტრის კოლონის ნაწილმა 17 ოქ
ბერს საღამოს შუნშუშანისა, ერთ
და ტუნცინგუანშანის ფორტებ
ესკარპების სერი აიღესო“. კო

ფორტის გარს შემოვლებულ თხრილის გარე მიწის გალავანსა ჰქვიან; ესკარპი — შიდა კედელია, ფორტის გალავანს ზედ აკრავს. ამის შემდეგ მოხსენებაში სწერია: იაპონელების მარცხენა კოლონამ სხვა ჩრდილოეთი ფორტები აიღო ერლუნგშანის აღმოსავლეთით, მაგრამ მოხსენებიდანვე სჩანს, რომ იაპონელებს თითონ ფორტები კი არა, მხოლოდ ფორტების წინ სიმაგრეები აუღიათ. მაინც უნდა გამოტეხით ვსთქვათ, რომ იაპონელებს უკანასკნელ შტურმის დროს კარგად გაუმარჯვნიათ; მართალია ჯერ ციხის აღებამდე შორსაა, მაგრამ თუ განგებ თვალს არ დავიხუჭავთ, უნდა ვსთქვათ, რომ ის ფორტები, სადაც იაპონელებმა კონტრ-ესკარპები დაიჭირეს, დიდ განსაცდელში არიან ჩავარდნილნი. მართალია ფორტის აღება ციხის აღებას არა ჰნიშნავს, მაგრამ მაინც ყოველ ფორტის დაკარგვა ძლიერ ასუსტებს ციხეს. იმ ფორტებთან, სადაც იაპონელებმა კონტრ-ესკარპები აიღეს, ეხლა საშინელი ბრძოლა მოხდება... ფორტს ვეება მიწის გალავანი აქვს შემოვლებული. ამ გალავანზე ზარბაზნებია დადგმული, ფორტის დამცველი რაზმიც ამ გალავანს ეფარება. გალავნის წინ 10—15 საჟენის სიგანე ღრმა თხრილია გავლებული. თხრილის ერთ მხარეს იაპონელები დგანან, მეორე მხარეს რუსები და ასეთ ახლო მანძილზე გამწვავებულად ებრძვიან ერთმანერთს. საზარელი სანახავია ეს ბრძოლა! ძნელი სათქმელია, ვინ უფრო გაჭირვებულ ყოფაშია: შტურმის მომტანი, თუ დამცველი. იქმნება შტურმის მომტანი უფრო საზარელ ყოფაშიაც იყოს; სხვა რომ არა ვსთქვათ, შტურმით მიმსვლელს მუდამ მეტი ზარალი მოსდის ფორტის დამცველზე.. შტურმით მიმსვლელი თავდაპირველად თხრილში უნდა ჩავიდეს. ეს ადვილი საქმე ნუ გეგონოთ. თხრილის ძირზე დახურული კაზემატია (კაპონირი) აშენებული, კაზემატში ტყვიის მტყორცნელები და მსწრაფლ-მსროლელი ზარბაზნებია დაწყობილი და მტრისკენ სეტყვასავით აყრიან ტყვიასა და ყუმბარას. ამიტომ შტურმის მიმტანი ჯერ ზარბაზნებს უშენს და ანადგურებს ამ კაზემატს, მხოლოდ ამის შემდეგ ჩადის თხრილში და ფორტის უკანასკნელ მედგარ შტურმისათვის ემზადება. ვერც ერთი ბრძოლა ვერ შეედრება ამ საზარელ ბრძოლას...

„დეილი ტელეგრაფ“-ის კორესპონდენტი ბენეტ ბერლეი დეპეშით იუწყება: ერლუნგშანის ფორტის უკან რუსებმა მძიმე ზარბაზნები დადგეს და ტრანშეები გათხარეს. თუ ვინიცობაა იაპონელები აღმოსავლეთ ფორტებს აიღებენ, რუსები ამ ახალ პოზიციებზე გამაგრდებიან. ქალაქი და ნავთ-სადგური ძლიერაა დაზიანებული; ლიაოტეშანის ფორტი ჯერ ისევ რუსების ხელშია. („ნ. ვ.“).

„როიტერის სააგენტოს“ კორესპონდენტი იუწყება ჩიფუდან: პორტ-არტურის ბედი აქ ძლიერ აფიქრებს ყველას. ამბობენ, დიდი ზარბაზნები აღარ უვარგათ რუსებს და საცხოვრებელი ბინებიც დანგრეულიაო. („ნ. დ.“).

„სტანდარდ“-ს 22 ოქტომბერს შანხაიდან შემდეგი დეპეშა მოსვლია: ერლუნგშანის ფორტთან გამწვავებული ბრძოლა მოხდა, ხან ერთი მხარე იჭერდა ფორტსა, ხან მეორე; ბოლოს იაპონელებს დარჩეთ. იაპონელები 21 ოქტომბერსაც უშენდნენ ზარბაზანს ციხესაო.

ჩიფუდან ატყობინებენ იმავე გაზეთს, იაპონელებმა გამწვავებულის ბრძოლის შემდეგ ჰეიუნიშანი, იტშანი და ვანჯაიჩმანი აიღეს და რუსები ლიაოტეშანისაკენ განდევნეს. ლიაოტეშანი ძლიერაა გამაგრებული. აქ 10 საზღვაო ზარბაზანი უდგათ რუსებს. („ნ. დ.“).

გენ. ნოგი ოფიციალურად იუწყება: 18 აგვისტოს დიდის ყალიბისა და საზღვაო ზარბაზნები დავუშინეთ დოკებს, კანონირ გემ „გილიაკ“-ს რამდენიმე ყუმბარა მოვახვედრეთ, ორი სხვა გემი ჩაიძირა. 19 ოქტომბერს პორტ-არტურის დასავლეთ ნავთსადგურში ჩვენმა ყუმბარებმა ორი გემი ჩაძირა, 3,500 ტონა წყალ-წყვისა თითო. 20 ოქტომბერს ერთი გემი ჩაიძირა 3 ათას ტონა წყალ წყვისა. („ნ. დ.“).

„დეილი მირორ“-ის კორესპონდენტი იუწყება, იაპონელები დიდ მოხერხებას იჩენენ და ბევრნაირ ხერხს ხმარობენ რუსის ეკლიან მავთულის ღობეების დასანგრევადაო. იაპონელი საპიორები, როცა ამ ღობეებს უახლოვდებოდნენ, ჯერ რკინა გადაკრულ ფარებს ეფარებოდნენ, მაგრამ ფარებმა არა უშველეს რა. მას უკან იაპონელები თოკს მისდებდნენ ხოლმე ღობის ბოძებს, რომლებზედაც მიბმულია ეკლიანი მავთული, და აქცევდნენ. რუსებმა ბოძის ძირები რკინის თოკებით გაამაგრეს. იაპონელებმა ეხლა სხვა ხერხი მიაგნეს: მავთულის ღობესთან მიდიოდნენ და უცებ წაიქცეოდნენ, ვითომ რუსის ტყვიამ მოგვკლაო, და მერე ჩუმად სჭრიდნენ მავთულს. რუსებმა გაუგეს ეშმაკობა და გასინჯვა დაუწყეს ყველა იაპონელს, ვინც-კი ღობესთან იწვა ხოლმე, ნამდვილად მკვდარია, თუ არაო. ამას გარდა იაპონელები გძელ ბამბუკის ჯოხებს ასაფეთქებელ პატრონას მოაბმენ და ღობის ბოძებს ააფეთქებენ ხოლმე. ბოლოს დროს ფოლადის ფარებს მიჰმართეს; ამ ფარს ჭუჭრუტანები აქვს დატანებული; იაპონელი საპიორები შიგ დიდ მაკრატელსა ჰყოფენ და მავთულსა სჭრიან. („ნ. ვ.“).

„მატენ“-ის კორესპონდენტი ჟან როდი იუწყება ჩიფუდან, ვითომ გენ. სტესელმა მხოლოდ ეხლახან გაიგო, რომ ლიაოიანთან ბრძოლა მოხდა და გენ. კუროპატკინმა მუკდენისაკენ დაიხიაო. სტესელი დარწმუნებული იყო, კუროპატკინი პორტ-არტურისაკენ მოდის და მალე გაანთავისუფლებს ციხესაო. („ნ. დ.“).

ახალი ამბავი

◆ 30 ოქტომბერს ტფილ. ქალაქის საბჭოს ღარიბთა თავშესაფარების გამგე-კომისიამ განიხილა ხმ. ხუდადოვის განცხადება მუშათა უბნებში **იაფ ფასიან საჩაიების** გამართვის შესახებ. საჩაიებში იქნება ჟურნალ-გაზეთებიც. კომისიამ ფრიად საჭიროდ სცნო ასეთის დაწესებულების შექმნა და დაადგინა, საჩაიები გამართოს თათრისა და კახეთის მოედნებზე, შუა ბაზარში, ვოგზლისა და ავჭალის მოედნებზე და რიყეზე. კომისიის ანგარიშით, თითოეულ საჩაიეს მოწყობას დასჭირდება 500—600 მანეთამდე. თითო საჩაიე უნდა იტევდეს 50 კაცს.

◆ კვირას, 31 ოქტომბერს, ტფილისში მოხდა **რუსეთიდან გადმოსახლებულთა დამხმარებელ საზოგადოების** კრება. პირველი კრება არ შესდგა, წევრთა დაუსწრებლობისა გამო, ხოლო მეორე კრებას 31 ოქტომბერს 384 წევრიდან დაესწრო 13 კაცი. როგორც ანგარიშიდანა სჩანს, საწევრო ფული საზოგადოებას შემოსვლია 96 მან., ყულაბებით 47 მან. შეუკრებიათ. შემოწირულება გაზ. „კავკაზისა“ რედაქციას და მთავარმართებლის კანცელარიას მიუღია 77 მან. და სხვ. სულ საზოგადოებას 1000 მან. შემოსვლია და აქედან დახარჯულა 712 მანეთამდე. საზოგადოებას 148 გადმოსახლებულ მოსახლისათვის აღმოუჩენია ფულად დახმარება.

◆ როგორც ხარკოვიდგან გვატყობინებენ, ომის გამო ამ სამოსწავლო წელს **სამკურნალო ფაკულტეტზე** სახელმწიფო გამოცდა დაიწყება თებერვალში. წელს ხარკოვის სამკურნალო ფაკულტეტს ათავებს ხუთი ქართველი: ალ. ნათიშვილი, სევ. ქოლოშვილი, სოლ. წერეთელი, ზაქ. მახარაძე და არ. ბაგაშვილი.

◆ როგორც მკითხველებმა იციან, ყასბები და მეპურეები არავითარ ყურადღებას არ აქცევენ ქალაქის მიერ დაწესებულ ნიხრს და ისე ჰყიდიან ხორცს და პურს, როგორც თითონ მოესურვებათ. ამის გამო 30 ოქტომბერს ნიხრის დამწესებელმა კომისიამ დაადგინა, სთხოვოს ქალაქის გამგეობას, რომ დაინიშნოს სამი ზედამხედველი, რომელმაც თვალ-ყური უნდა ადევნონ პურისა და ხორცის წესიერად ვაჭრობას. ამასთან უნდა დაევალოთ ვაჭრებს, რომ დუქნებში ჩამოჰკიდონ სია სანოვაგისა და აგრეთვე აღნიშნონ ნიხრის რაოდენობა. სააგენტო კონტორებს უნდა დაურიგდეთ პატარა ყუთები, სადაც მომჩივანნი ნიხრის დარღვევისა გამო ჩააგდებენ ბარათებს. ეს ბარათები გადაეცემა კომისიას.

◆ **საქართველოს საეპარქიო სამოსწავლო საბჭოს** დადგენილებით, თელავის ფერისცვალების ეკკლესიის მეორე ხარისხის სკოლაში უნდა დაარსდეს მესამე და მეოთხე განყოფილება და ცალკე მასწავლებელი დაინიშნოს სკოლის ხარჯით. გარდა ამისა საბჭომ დაადგინა, გორისა და ს. იტრიის (გორის მაზრა) ორ-კლასიან სკოლებში შემოღებულ იქმნეს საკლასო სისტემა სწავლისა, ნაცვლად არსებულ სასაგნოსი, ე. ი. ყოველსავე საგანს ცალკე მასწავლებელი ასწავლის და არა ერთი მასწავლებელი. საბჭომვე დაადგინა, დაარსოს სიღნაღში ერთკლასიანი სამრევლო სკოლა და ამ სკოლასთან საკვირაო სკოლაც.

◆ გუშინ, 1 ნოემბერს, ტფილისის სამხედრო ბეგრის საკრებულოში დააფიცეს ახლად კენჭ-ნაყრები ყმაწვილი კაცნი. დაფიცებაზე ბევრნი არ გამოცხადნენ. 60 თხოვნის გარდა საკრებულომ კიდევ მიიღო თხოვნები ახლად კენჭ-ნაყრებ ყმაწვილთა, რომელნიც კმაყოფილნი არ არიან ექიმების შემოწმებისა.

◆ კვირას კრება ჰქონდა **ქართულ წარმოდგენების** გამმართველ ამხანაგობას. როგორც უწყით, დღეს კვირაში მხოლოდ ერთი წარმოდგენა იმართება სახაზინო თეატრში. კრებამ საჭიროდ სცნო, მოელაპარაკოს ამხანაგობა საარტისტო საზოგადოების ადმინისტრაციას, რომ თითო დღე იქაც დაეთმოს ქართულ წარმოდგენებს. კრებამ გამგეობას დაავალა ამ საქმის მოწყობა. საარტისტო საზოგადოება ამხანაგობას თითოეულ საღამოს ქირად სთხოვს 200 მან. და შემოსავლის 30%-ს.

◆ **ქართულ წარმოდგენების გამმართველ ამხანაგობას** ერთის თვის განმავლობაში საწევრო ფული შემოსვლია 328 მან., აბონიმენტებისა 400 მან., წარმოდგენებიდან —1234 მან. და სხვ., სულ 2,000 მან. 34 კაპ. აქედან დახარჯულა არტისტებისა 836 მან. 75 კაპ. და თეატრის ქირა და სხვა ხარჯი 1701 მან. 40 კაპ. ამ რიგად დეფიციტი 500 მანეთს აღემატება.

◆ **ჯულფის** გზაზე 24 ოქტომბრიდან 28 ოქტომბრამდის **ხოლერისაგან გარდაიცვალა** შვიდი კაცი, კიზილვანკში—ოთხი და შახტახტაში—ერთი კაცი.

◆ **ტფილისსა და ბაქოს სადგურებზე** რკინის გზით გაგზავნილი (ეგრედ წოდებულ „მალაია სკოროსტ“-ით) საქონელი დღემდე ინახებოდა უფასოდ 48 საათამდე. ეხლა გზათა სამინისტრომ ნება დართო ამიერ-კავკასიის რკინის გზას ნახევრად შეამციროს ეს ვადა და **ორჯერ მეტი** შესანახი ფასი დააწესოს.

◆ საქართველოს საექსარხოსო სამრევლო სკოლების საოლქო საბჭოს განკარგულებით, **ტირძნისის მეორე ხარისხის სამასწავლებლო სკოლაში** ამ სამოსწავლო წლიდან შემდეგი ცვლილებანი მოხდა: გაუქმდა მესამე ადგილი მასწავლებლისა, სკოლის გამგედ დაინიშნა მღვ. სპირიდონ კასრაძე, ხოლო უფროს მასწავლებლად—ჯავახიშვილი.

◆ უწ. სინოდის განკარგულებით, **გურია-სამეგრელოს საეპარქიო** სამოსწავლო საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა ფოთის საკათედრო ტაძრის დეკანოზი ტარასი ივანიცკი.

◆ საქართველოს ექსარხოსის განკარგულებით, **თიანეთის მაზრის სამრევლო სკოლების** მეთვალ-ყურედ დაინიშნა ბლ. მღ. გრიგოლ **ჯინჭველაძე**.

◆ როგორც „რუს. სლოვო“ გადმოგვცემს, **პორტ-არტურში მოუკლავთ** კაპიტანი კვინიხიძე.

◆ ამიერ-კავკასიის **რკინის გზის უფროსი** ინჟენერი ივანოვსკი უკვე წამოვიდა პეტერბურგიდან. ბ-ნი ივანოვსკი დღეს, 2 ნოემბერს, ჩამოვა პეტერბურგიდან.

◆ ტფილისის გუბერნატორი ამას წინად შეეკითხა სათანადო მთავრობას, **საზღვარგარეთიდან დაბრუნებულ** პირთ, **რომელთა** პასპორტებსაც ვადა აქვთ გასული და გადასახადია ამის გამო მათზე დარჩენილი, უმაღლესის მანიფესტით ეპატიათ თუ არა ეს დარჩენილი ფულიო? გუბერნატორმა უკვე მიიღო პასუხი. როგორც ამ პასუხიდანა სჩანს, ზემოხსენებულ პირთ არ ეპატიათ საპასპორტო გადასახადის დარჩენილი ფული.

◆ როგორც ქალაქ ახალქალაქიდან გვატყობინებენ, 21 ოქტომბერს ღამე ვიღაც ბოროტ-მოქმედთ გაუქურდავთ **სომეხ გრიგორიანთა წმ. ჯვარის ეკკლესია**, ქურდებს, გარდა ძვირფას ნივთებისა, წაუღიათ ფულიც.

◆ რედაქციამ მიიღო შემდეგი ახალი წიგნები, გამოცემანი სპ. ჭელიძისა: 1. „ჩონგური“, სადივერტისმენტო და სასიმღერო ლექსები, სცენები და ხუმრობები; ფასი ორი აბაზი; 2. ორი პიესა „ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“ ილია ჭავჭავაძისა და „უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა“, ი. ევდოშვილისა; ფასი 7 კაპ.; 3. „სიცილ-ტირილი“, სატირიული ლექსები, სცენები და კუპლეტები, შედგენილი სპ. ჭელიძის მიერ; ფასი ორი შაური; 4. „სატრფო“, სხვა და სხვა სასიმღერო ლექსები, შედგ. სპ. ჭელიძის მიერ; ფასი ორი შაური.

◆ ჯულფის გზის გამგე ინჟენერმა ჯურცელმა რკინის გზის ჯულფის უფროსს ექიმს გამოუგზავნა ასი ფუთი სხვა და წამლები ხოლერასთან საბრძოლველად.

◆ თელავის მაზრის უფროსის განკარგულებით, თელავში მომავალ წლიდან იხურება რამდენიმე სასმელის დუქანი. ამის შესახებ ცნობები მაზრის უფროსმა უკვე წარუდგინა გუბერნატორს.

◆ სად. მუგანი. 31 ოქტომბერს, ღამის 4 საათზედ, როდესაც საქონლის მატარებელი № 194 სადგურზე იდგა, ვიღაც ბოროტ გამზრახველთ გაეხსნათ ვაგონი და წაეღოთ სხვა და სხვ. ნივთები. ერთ ყუთში ცხვირსახოცები იყო. ცხვირსახოცები იპოვნეს იქვე ახლოს ტინდორში.

◆ ბაქო. 30 ოქტომბერს საღამოს ხუთ საათზედ ორთქლმავალს მიჰქონდა ათი ვაგონი შავ ქალაქში, დაეჯახა ცისტერნის ვაგონს, რომელიც იქვე ლიანდაგზე იდგა, და დაიმსხვრა.

◆ როგორც ჯავახეთიდგან გვატყობინებენ, ბოგდანოვკის საპოლიციო უბნის ბოქაულს სოფ. ბოგდანოვკაში მცხოვრების დუხობორ კუზმა ჩერნენკოვის სახლში აღმოუჩენია ყალბი ფულის საჭრელი მანქანა. როგორც გამოძიებას აღმოუჩენია, ეს მანქანა ჩერნენკოვისათვის მიუბარებია ვაჭარ ფედორ მედვედევს. გამოძიება სწარმოებს.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ 30 ოქტომბერს კიდევ არ მოხდა ქალაქის საბჭოს კრება (პირველად 27 ოქტომბერს არ შესდგა). თუმცა ბევრი არბენინეს შიკრიკები ხმოსანთა ბინებსა და მაღაზიებში, მაგრამ ვერას გახდნენ: „არ გვცალიან“-ო, ითვლევინებოდნენ ხმოსნები! მართალია, როგორც იქმნა, კლუბიდან კი ჩამოიყვანეს რამდენიმე ხმოსანი, მაგრამ მათ ჩამოყვანამდის სხვებმა იღრიჯეს და მოჰკურცხლეს საბჭოს დარბაზიდან! ამ დღისათვის დანიშნულ 12 საქმიდან ერთი ძლიერ საყურადღებოა, რომლის მალე გადაწყვეტა ძლიერ საჭიროა. ესაა ქალაქის გამგეობის მოხსენება შესახებ იმისა რომ ქალაქის მოურავი გაიგზავნოს პეტერბურგში ქალაქის სხვა-და-სხვა საქმეების გამო. დანარჩენ კითხვებში ყურადღების ღირსია: ქალაქის არქიტექტორის, ბეითლისა და საბეითლო ფერშლის ინსტრუქციათა პროექტების განხილვა; ქალაქის გამგეობის მოხსენება 1905 წლისათვის სატრაქტირო გადასახადის განაწილების შესახებ; ქუთაისის გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულოს დადგენილება ხორცის ნიხრის მომატების შესახებ და სხვა. ინჟინერმა ალიბეგოვმა თანხმობა განაცხადა იმ პირობებით აიღოს ქუთაისში ტელეფონის გამართვა, რა პირობებითაც კოლბეს ფირმა კისრულობდა, ე. ი. თორმეტი ათას მანეთად. ამ გვარად, ქალაქის საბჭოს დადგენილების თანახმად უპირატესობა ეძლევა ინჟინერს ალიბეგოვს. როგორც გავიგეთ, ბ-ნი ალიბეგოვი მალე შეუდგება ტელეფონის გამართვას.

◆ მ. ლალიძემ პირობის თანახმად 4 ელექტრონის ფარანი დადგა ქალაქს. თითო ფა-

ფელეტონი

სტატისტიკური ცნობები

რუსეთში მყოფ ქართველ ჯარის კაცთა მდგომარეობის შესახებ.

1898 წელი ქართველ ჯარის კაცთა ისტორიაში ფრიად სანუგეშო წელიწადია. ამ წელს დაიწყეს ქართველ ყმაწვილ კაცთა სამხედრო ბეგარის მოსახდელად რუსეთის შიდა გუბერნიებში გაყვანა. შედეგად ამ გარემოებას ის მოჰყვა, რაც მოსალოდნელი იყო. ქართველმა სალდათმა „შობით და გულით საქართველოს ნაზის ბუნების შვილმა“, ვერ აიტანა რუსეთის სასტიკი ბუნება. იგი ვერ უძლებს იქაურ ჰავას და ზოგი უდროოდ ესალმება წუთი სოფელს, ზოგიც სამუდამოდ სნეულდება.

ვისაც ხშირად შეჰხვედრია უფლება რუსეთის დიდ ქალაქების სამხედრო საავადმყოფოებში, იმან კარგად იცის, რომ ქართველი სალდათი მთელ თავის სამხედრო ბეგარის დროს ლოგინზედ მოკრული ამ საავადმყოფოებში ატარებს. ყაზარმა ქართველმა სალდათმა არ იცის, იმისი მუდმივი ბინა—ჰოსპიტალია. შედგამთ თუ არა ფეხს ჰოსპიტლის კარებში, თქვენ ყოველ კუთხიდან მოგესმებათ ქართული მწარე კვნესა; მიჰყვებით ამ კვნესის ხმას და წააწყდებით სხვა-და-სხვა ადგილას ერთსა და იმავე სურათს: ფერ-მიხდილ, თვალში სინათლე გამქრალს, უძლურ და დასუსტებულ, ჯანსა და ძალ-ღონეს მოკლებულ ქართველ სალდათს.

რუსეთში მყოფ ქართველ სალდათთა დაუსრულებელი ტანჯვა შეუმჩნეველი არც ჩვენის საზოგადოებისთვის არის. საკმაოდ მოგეხსენებათ, რომ სამის წლის წინად ქუთაისის გუბერნიის თავად აზნაურთა კრებაზედ განსახილველ საგანთა შორის იყო აგრეთვე საკითხი რუსეთში მყოფ სალდათთა მდგომარეობის შესახებ. [illegible] იყო განსახილველ საგნების სიაში ამ საკითხის შეტანა, საჭირო იყო ამ საკითხის ვრცლად განხილვა და საჭირო შუამდგომლობის აღძრა, რაც ქუთაისის თავად აზნაურთა კრებამ არ გააკეთა. რუსეთში მყოფ ქართველ სალდათთა მდგომარეობა დაჟინებით თხოულობს შველას და ვფიქრობთ, რომ იმ შუამდგომლობათა რიცხვში, რომელიც ამ ჟამად თავად აზნაურთა თუ სხვა საზოგადო კრებებს ხელში აქვთ, მთავარი ადგილი უნდა დაეთმოს შუამდგომლობას რუსეთში მყოფ ქართველ ჯარის კაცთა მდგომარეობის შევლის შესახებ. თუ რამდენად ღირსია ეს საკითხი ჩვენის საზოგადოების ყურადღებისა და ზრუნვისა, ამას დაგვანახვებს საინტერესო სტატისტიკური გამოკვლევა, რომელიც ამ უკანასკნელ თვეებში დაიბეჭდა სამხედრო თვიურ ჟურნალში (Военно-Медицинскій журналъ, издав. Главнымъ Военно-медицинскимъ Правленіемъ. Августъ, 1904 წ.). გამოკვლევას ეს სათაური აქვს: „Итоги комплектованія уроженцами кутаисской губерніи войскъ, внѣ Кавказа расположенныхъ, по даннымъ двухъ войсковыхъ частей“. და ეკუთვნის სამხედრო ექიმს ბ-ნ მურზინს.

ეს სტატისტიკური გამოკვლევა რუსის ექიმისა საოცარ სურათს შლის ჩვენ თვალ წინ: ციფრები მჭერმეტყველად ღაღადებენ იმ გაჭირვებას, რომელშიაც იმყოფება რუსეთში ქართველი სალდათი. მოვუსმინოთ ციფრებს.

1899 წელს ჯარში გაწვეულ ყმაწვილ კაცთაგან ორს პოლკში, სახელდობრ—მე-59 ლიუბლინისა (ქ. ოდესაში) და მე-133 სიმფეროპოლის (ქ. ეკატერინოსლავში) პოლკებში ყოფილა სულ 1,180 სალდათი; ამათგან 1,063 კაცი ყოფილა შიდა რუსეთის სხვა და სხვა გუბერნიიდან, ხოლო 117 კაცი ქუთაისის გუბერნიიდან (ქართველები). ჯარში სამსახურის დროს გამხდარა ავად 647 კაცი შიდა გუბერნიელი, ხოლო 98 კაცი ქუთაისელი. თუ საერთო რიცხვთა რაოდენობის შედარებით ამ რიცხვს % ვაქცევთ, გამოვა, რომ ავადმყოფობა შიდა რუსეთის გუბერნიების ჯარის-კაცთათვის უდრის 60,8%-ს, ხოლო ქუთაისის გუბერნიის ჯარის-კაცთათვის 83,7%-ს. აქედან ცხადია, რომ ქართველებისა გაცილებით მეტი რიცხვი ხდება ავად, ვიდრე შიდა რუსეთის მცხოვრებლებისა: თუ შიდა რუსეთის მცხოვრებლების $^2/_3$ ხდება ავად, ქართველებისა ხდება ავად $^4/_5$.

ავადმყოფობის მიზეზით სამხედრო კანონების ორი მუხლის ძალით ჯარის კაცობისაგან განთავისუფლებიათ შიდა რუსეთის გუბერნიების მცხოვრები 113 კაცი ანუ საერთო რიცხვის 10,5%, ხოლო ქუთაისის გუბერნიის მცხოვრები განთავისუფლებიათ 45 კაცი ანუ საერთო რიცხვის 38,5%. აქედან აშკარაა, რომ ქუთაისის გუბერნიიდან გაწვეული ჯარის კაცი რუსეთში სამსახურისათვის $3^1/_2$ ნაკლებად უვარგისნი არიან, ვიდრე თვით რუსეთში მცხოვრები ჯარის-კაცნი.

რაც შეეხება ჯარის კაცთა სიკვდილს, იგი ქუთაისელებისათვის შეადგენს 8,5% (მოკვდა 10 კაცი), ხოლო რუსეთის სხვა მცხოვრებისათვის 1,2% (მოკვდა 13 კაცი), ანუ უბრალოთ რომ ვსთქვათ, რუსეთში სამხედრო სამსახურის დროს ქუთაისელებისა 7-ჯერ მეტი ნაწილი კვდება, ვიდრე რუსეთის ადგილობრივ მცხოვრებლებისა. აშკარაა აქედან, რა დიდ მსხვერპლს იწირავს სამხედრო ბეგარა ქართველთაგან. ისინი ვერ იტანენ რუსეთის სასტიკ ჰავას: თითქმის მთელი რიცხვი ქართველებისა სნეულდება (83,7%), სამსახურისათვის აღარ ვარგა (38,5%), წუთის სოფელს ესალმება (8,5%). ეს ფაქტები ქართველ ჯარის-კაცთა ცხოვრებიდან უკლებლად ამართლებენ პროფ. დობროსლავინის აზრს, პროფესორი ამბობს: „У насъ аклиматизація, не составляя вопроса при отправкѣ сѣверянъ на югъ, должно признаваться невыполнимой при стягиваніи жителей юга къ сѣверу“.*). ამ გამოკვლევის ფაქტების შემდეგ საინტერესოა ვიცოდეთ, რა ავადმყოფობა უფრო ავლებს მუსრს ქართველებს.

პირველი ადგილი ქართველ კაცის სნეულებებში უჭირავს სასუნთქავ ორგანოების ავადმყოფობას: 35,5% ანუ $^1/_6$ ყველა იმ ავადმყოფობისა, რომელიც გავრცელებულია ქართველთა შორის, ეკუთვნის სასუნთქავ ორგანოების ავადმყოფობას. საინტერესოა, რომ სწორედ ეს სასტიკი ავადმყოფობა ისეთ მნიშვნელოვან ორგანოებისა, როგორიც სასუნთქავი ორგანოებია, ყველა სხვა ავადმყოფობაზედ უფრო ნაკლებად არის გავრცელებული რუსეთის ადგილობრივ მცხოვრებ ჯარის კაცთა შორის. სასუნთქავ ორგანოების შემდეგ უფრო გავრცელებულია: პლევრიტი—15,0% სასუნთქავ შტოების და ფილტვების მწვავე კატარი—8,2%, სასუნთქავ შტოების ქრონიკული კატარი—5,5%, ჭლექი—3,6% და ბოლოს, ფილტვების ანთება—2,4%. რომელი სენი უფრო ასალმებს ქართველობას წუთი-სოფელს? 10 ქართველ ყმაწვილკაცში 4—მოკვდა ჭლექით (40,0%), 3—მოკვდა პლევრიტით, რომელიც ფილტვების ქრონიკულ სნეულების ნიადაგზედ განჩნდა (30,0%), 2—მოკვდა პერიტონიტით, რომელიც აგრეთვე ფილტვების ქრონიკულ სნეულების ნიადაგზედ განჩნდა (20,0%), 1—მოკვდა ფილტვების ანთებით (10,0%). მაშასადამე ათივე (100,0%) ფილტვების ავადმყოფობამ იმსხვერპლა.

სულ სხვას ვხედავთ შიდა რუსეთის მკვიდრთა შორის. იქ უმთავრესად იხოცებიან შემთხვევით ავადმყოფობისაგან, ფილტვების ავადმყოფობას-კი თითქმის უკანასკნელი ადგილი უჭირავს (30,8%).

რა არის ასეთ განსხვავების მიზეზი? ექიმის მურზინის აზრით, ასეთის განსხვავების ერთად-ერთი მიზეზი რუსეთის და საქართველოს ბუნების განსხვავებაა. უმნიშვნელო არ არის აგრეთვე ავადმყოფობის კლინიკური ხასიათის განსხვავება. ქართველებს ავადმყოფობა უფრო დიდ ხანს უგრძელდებათ, ვიდრე ადგილობრივ რუსებს; მაგალითად, ფილტვების ანთებით ავადმყოფი ქუთაისელი საავადმყოფოში რჩება 34 დღეს, ადგილობრივი რუსი კი სულ—22 დღეს; პლევრიტით ავადმყოფი ქუთაისელი 50 დღეს რჩება საავადმყოფოში, ადგილობრივი რუსი-კი 24 დღეს. მეორე კლინიკური განსხვავება ის არის, რომ ავადმყოფობა უფრო სასტიკად ავლებს ბრჭყალებს ქართველს, ვიდრე ადგილობრივ მცხოვრებს, რაიცა სჩანს იქიდან, რომ ერთსა და იმავე ავადმყოფობას ქართველების გაცილებით მეტი % მიჰყავს სამარისაკენ, ვიდრე ადგილობრივ მცხოვრებლებისას. მესამე კლინიკური განსხვავება ის არის: საკმაოა ქართველმა რომელიმე უბრალო ავადმყოფობა გამოსცადოს, რომ იმისი სხეული ჭლექის ბუდედ გადაიქცეს. ექიმი მურზინი სრულიად სამართლიანად შენიშნავს ამ გარემოების გამო, რომ ჭლექიანი ქართველი მხოლოდ რუსეთში ჩნდებაო.

ერთად-ერთი დასკვნა ამ ფაქტებიდან ის არის, რაც თავის გამოკვლევის დასასრულს მოჰყავს ექიმს მურზინს: ქართველ ყმაწვილ კაცთა რუსეთის შიდა გუბერნიების ჯარში გაყვანას არა აქვს არავითარი საფუძველი და სარგებლობა. უნებლიედ იხოცება ამოდენა ხალხი და მერე რისთვის? თუ ჰგონიათ, რომ ეს რუსის ჯარის სარგებლობისათვის არის საჭირო, სცდებიან, რადგან რა უნდა ისარგებლოს რუსის ჯარმა, როდესაც ქართველი სალდათი მთელ თავის სამსახურის დროს საავადმყოფოებში ატარებს? სარგებლობის ნაცვლად საქართველოდან გაყვანილ ჯარის-კაცთ ზარალი მოაქვთ, სრულიად უსარგებლოდ ხარჯს და ზრუნვას თხოულობენ. დროა დავანებოთ თავი კავკასიის მცხოვრებთა შიდა რუსეთში გაყვანასაო.

ამით ათავებს ბ-ნი მურზინი თავის საინტერესო გამოკვლევას.

სევ. ქოლოშვილი

ქ. ხარკოვი.

---

*) Проф. А. Доброславинъ: „Курсъ военной гигіены“. Спб. 1885. т. I.

რანს აქვს 1000 სანთლის ძალა, სამი ფარანი ქალაქის ბაღის გარშემოა დადგმული დაბალს ძლიერ ამშვენებს, მეოთხე ბალახვანის ქუჩაზე, საურთიერთო ნდობის ბანკთან. ეს ძლიერ კარგია, მაგრამ ის-კი ვერაა კარგი, რომ ფარნებს დაღამებისათანავე არ ანთებენ და შუაღამეზე-კი მთლად აქრობენ. არც ისაა მოსაწონი, რომ ქალაქი მხოლოდ ცენტრს აქცევს ყურადღებას, განაპირა ადგილები-კი უყურადღებოთაა დატოვებული: მათთვის არც ქუჩების გაკეთებაა, არც განათება, არც ქუჩების დაგვა-დასუფთავება და არც რამ სხვა სიკეთე, თითქოს განაპირა ადგილებში მცხოვრებნი არავითარ გადასახადს არ იხდიდნენ ქალაქის სასარგებლოდ.

◆ ჯერ-ჯერობით ქალაქის გამგეობამ იჯარით გასცა სალორიის ავარაკში 130 სამოსახლო ადგილი. სულ გასაცემი იყო 400 სამოსახლოზე მეტი. ადგილების წლიური საშუალო გადასახადი უდრის 25 მანეთს, უმცირესი გადასახადი 11 მანეთი, (უდიდესი 60 მანეთამდის ავიდა ვაჭრობის დროს). დანარჩენ ადგილების ვაჭრობა ამ მოკლე ხანში მოხდება.

◆ სამოსახლო ადგილების იჯარით აღების დროს მოიჯარადრე ვალდებულია წარადგინოს ბედ ვაჭრობის დაწყებამდის თითო თუმანი; ეს ფული რჩება შემდეგ გირაოთ, თუ, რასაკვირველია, ვაჭრობის დროს ადგილი დარჩა მოვაჭრეს. თუ მოიჯარადრემ რაიმე მიზეზის გამო ქალაქთან დადებული პირობა დაარღვია, იმ შემთხვევაში ადგილიც ჩამოერთმევა და გირაოთ დატოვებული ფულიც დაეკარგება. ამის გამო ახალ მოიჯარადრეებს უთხოვნიათ ქალაქის გამგეობისათვის, რომ განათავისუფლონ გირაოთ ფულის დატოვებისაგან. ამ თხოვნას განიხილავს ქალაქის საბჭო.

სურათების გამოფენა ტფილისში

გამოფენის მოთავეს, ქ-ნ კუდბერგს, ეჭვი არ არის, ფრიად საყურადღებო და სიმპატიური აზრი მოსვლია: მოხუც და შეუძლო მხატვართა სასარგებლოდ ისტორიულ მუზეუმის დარბაზში სურათების გამოფენა გაუმართავს. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ გამოფენა არ დაერქმის ორმოციოდე ისეთ სურათის ჩამოკიდებას, რომელთა დიდი უმეტესობა სულ უბრალო, უშნო და უფერული ეტიუდებია. ფრანკენისა, ლანგისა, კოლჩინისა და ზანკოვსკის ზოგიერთა სურათების გარდა, დანარჩენ „მხატვრებს“ თავიანთ ეტიუდები სულ რომ არ გამოეფინათ, გამოფენას საზოგადოდ უფრო მეტი ელფერი და ინტერესი ექნებოდა. ზოგიერთ მხატვარს ბევრ თავის ნაწარმოებისთვის წაუწერია: სურათი ამა და ამ მხატვრისა, ფასი ამდენი და ამდენი, მაგრამ ამ „სურათზე“ უშნოთ და უნიჭოდ დაუჯღაბნია ან სამიოდე ბუჩქი და ტლაპო, ან ბამბის მინამგვანი ღრუბლები და კუნძების მაგვარი კლდეები და ანაც პატარა ქოხი, რომლის წინ რიღაცის მაგვარი რაღაცა სდგას. იმ ნაწარმოებთ-კი, რომლებსაც ავტორები ეტიუდებს უწოდებენ, ძლივს ძლიობით შეიძლება ესკიზები დავარქვათ. ასეთ ნაწარმოებს მაშინ ექნებოდა რამე ინტერესი და მნიშვნელობა, თუ რომ სამხატვრო სასწავლებლის მოსწავლეთა პირველი ცდა ყოფილიყო.

ამ ეტიუდებისა და ესკიზების კრებულის მიერ გამოწვეულ ცუდ შთაბეჭდილებას ცოტად თუ ბევრად აქარწყლებს კოლჩინისა, ლანგისა, ფრანკენისა და ზანკოვსკის ათიოდე სურათი.

ზანკოვსკის სურათებს გამოფენაზე შესვლისთანავე ყველა იცნობს. იგივე ვარდის ფერი ან ლურჯ ნისლით მოცული კლდეები, იგივე წითელი, ან ცის ფერი, ან თოვლიანი მთები, ან ბურუსში მახვეული, ან უბურუსო კავკასიის ქედი, ათასის მხრიდან დახატული დარიალის ხეობა, იალბუზი, დიხ-ტაუ, მყინვარი და სულ მთები, მთები და მთები. მართალია, ამ ათასნაირად დახატულ მთებს თავის ღირსებაც აქვს: ზანკოვსკის თითქმის ყველა სურათი მშვენიერად არის დახატული, თითო სურათზე ათასნაირი მშვენიერი ფერია ნახმარი და საზოგადოდ მთების თავისებურობის გადმოცემასა და ორიგინალურად განათებაში ბ-ნ ზანკოვსკის კავკასიაში მეტოქე არა ჰყავს, მაგრამ ცალმხრიობა, ყოველთვის ერთი და იგივე თემა და ერთი და იგივე ჰანგი ბოლოს მაინც მოსაწყენია.

ბ-ნ ზანკოვსკის ეხლანდელ სურათებში ყველაზე უფრო საყურადღებოა „ბორჯომის ახლოს“ და „ტყე“. ამ ორ სურათზე ძალიან კარგად არის გადმოცემული ტყის საიდუმლო, მისი ათას ფეროვნება, ჩრდილი, მზის სხივებით განათებული და ათას-ნაირად შეღებილი ფოთოლი და დაჩრდილული, ქვებ შუა მოჩუხჩუხე წყალი. ერთი სურათი — „ტყე“ ბ-ნ ზანკოვსკის ახალ ჰანგზე დაუხატია: წამლები სქლად არის წასმული, წვრილმანები გამოუტოვებია და სამხატვრო იარაღი, ეტიუდა, ფართოდ და გაბედვით უხმარია; მაგრამ მაინც სჩანს, რომ ეს მხატვარი ძველ სფერაში უფრო თავისუფლად ჰგრძნობს თავს. ყურადღების ღირსია იმის შემდეგი სურათები: „ბორჯომის ხეობა“, „დიხ-ტაუ“, „სურამის ღამე“ და „სადღურის ქედი“.

გამოფენაზე ძალიან ირჩევა კოლჩინის სურათები. ამ მხატვარს სხვებსავით (ლანგეს გარდა) ერთ-ფეროვნება არ ეტყობა. იმის ეტიუდები, სხვა-და-სხვა ტიპები — ბებრები, ახალგაზდები, რუსები, კავკასიელები და სხვანი, მთელ გალერეას წარმოადგენენ. ძალიან კარგია „პორტრეტი“ სიგარით ხელში, პატარა ეტიუდი „ბორჯომის ხეობა“, „ქურთი“ და „ლეკი“, მაგრამ ყველას სჯობია დიდი სურათი „მრავალ-ჟამიერ“-ი, თუმცა კი დიდი ნაკლიც აქვს: ჯერ ერთი კავკასიელი ტიპი არ არის, მეორე კავკასიურად არ აცვია და მესამე — იმის გამომეტყველება „მრავალ-ჟამიერ“-ს არა ჰგავს. ამ სურათს რომ „ღვინის მოყვარე ესპანელი ქალი“ დაარქვათ და ამასთან ლეჩაქი მოაშოროთ, სურათი თუ არ მოიგებს, თორემ არაფერს წააგებს. ბ-ნ კოლჩინის მთავარი კარგი თვისებაა: ფერების სიმრავლე, სურათის კარგად, ბუნებრივად განათება და ის თავისუფლება და გაბედულება ხატვის დროს, რომელიც მის პატარა ეტიუდებშიაც კი მოსჩანს.

დიდის ექსპრესიით, ცოცხლად და ბუნებრივად არის დახატული ბ. სვერჩკოვის „ცხენი“.

„მთელ გამოფენაში ყველაზედ უფრო საყურადღებოა ბ-ნ ლანგის სამი სურათი: „გასაუსის ტბა დილით“, „გასაუსის ტბა საღამოთი“ და უფრო კი „ზამთარი“. ეს სურათი, ჩვენის აზრით, გამოფენას ამშვენებს. საუცხოვოდ არის გადმოცემული საღამო ჟამი ზამთარში; ბუნებრივის სიმარტივით, ფერების შეწყობითა და საზოგადო ელფერით თვალს იტაცებს და რაღაც დამაწყნარებელსა და დამამშვიდებელ შთაბეჭდილებას სტოვებს. კარგია აგრეთვე ბ-ნ შვეიერის აკვარელი „მონასტერი ტიმოთესუბანში“, ტელიაკოვსკის ორი სურათი — „სურები“ და ფრანკენის ზოგიერთი თუმცა პატარა, მაგრამ საინტერესო ზოგიერთი სურათი. სკლიფასოვსკიზე ვერაფერს ვიტყვით, რადგან იმასაც მხოლოდ ეტიუდები გამოუფენია. ერთი მოზრდილი სურათი აქვს — „შუშის მიდამოებში“, მაგრამ ამ სურათმა, სამწუხაროდ, ვერ დაგვაკმაყოფილა.

გამოფენის გამმართველთ სადღაც უნახავთ ორი სურათი: ერთი რუბოსი, მეორე განთქმულ აივაზოვსკისა, მაგრამ... ამ სურათებს უფერულობასა და უმნიშვნელობას ვერა შველის იმათ ავტორების განთქმული სახელები. ზემოდ ჩამოთვლილ მხატვრების გარდა გამოფენაში კიდევ ბევრი მხატვარი იღებს მონაწილეობას, მაგრამ სჯობია იმათზე არაფერი ვთქვათ. აქ ბ-ნთ ციმაკურიძისა და მესხის ხუთიოდე ეტიუდსა და ესკიზსაც შეხვდებით.. ვერც ამათზე ვიტყვით რასმეს. სამხედრო მუზეუმის ნახევარი ბ-ნ გუბინჩევიჩის ორმოც სურათს უჭირავს. იმისთანა მხატვრებმა, როგორიც არიან ბ-ნნი გუბინჩევიჩი, პავლოვი და სხვანი, კარგად იციან, რომ ტფილისის მცხოვრებთ ძალიან ნაკლებად ესმით ხელოვნების ერთი უმთავრესი დარგი — მხატვრობა და ამიტომ სცდილობენ თავიანთ მკრთალ, უშნო, უფერულ და უმნიშვნელო ნაწარმოებს ჩვენ ქალაქში მოუპოვონ მაყურებელი და მუშტარი. ბ-ნ გუბინჩევიჩს ორმოც სურათში მხოლოდ ერთად ერთი სურათი აქვს ხეირიანი: „ფოთლების ცვენა“, დანარჩენები კი მკრთალად, უფერულად და უხეიროდ გადმოცემული ეტიუდები და ნამდვილ სურათების ნაწილებია. წყნარ და დამშვიდებულ წყლის ხატვაც ეხერხება, მაგრამ ამ წყლების ჩარჩო-ბუნება ჩვეულებრივის უფერულობითა და უღაზათოდ არის გადმოცემული.

თავისუფალი მონა

პრესსა

„სუდებ. ობოზრ.“-მ აღძრა საკითხი იმის შესახებ, რომ დროა მოისპოს რუსეთში სარწმუნოებისთვის დევნა, დროა მიანიჭონ ყველას თავისუფლება თავის სვინიდისისამებრ იწამოს ღმერთი. გაზეთს მოჰყავს შემდეგი სურათი ხალხის ცხოვრებიდან, რომელიც ნათლად მოწმობს ხალხის სარწმუნოებრივ შევიწროებას.

კვირა დღეა. ერთი მოხუცებული გლეხის სახლში თავი მოიყარეს მისმა თანამორწმუნეებმა. სტოლზე დევს სახარება, დაბადება და ლოცვანი. ერთი დამსწრეთაგანი კითხულობს, დანარჩენები დინჯად, დაკვირვებით ყურს უგდებენ... უეცრად სახლში პოლიციელები შემოვარდებიან, „ბოროტმომქმედთ“ თავს ესხმიან. დროზე შეუსწრეს ამ ხალხს: სწორედ მაშინ, როცა ისინი საღვთო-წერილის მოსასმენად იყვნენ თავმოყრილნი. შეუდგნენ იქვე ოქმის შედგენას, რომელსაც შემდეგ გადასცემენ, სადაც ჯერ არს. „დამნაშავენი“ სამართალში მისცეს ამა და ამ მუხლის ძალით. სასამართლო სასჯელს გადაუწყვეტს: დააპატიმრებს ან დაჯარიმებს, უმრავლესობა — ღარიბი მუშებია, რომელთაც ჯარიმის გადახდის საშუალება არა აქვთ და ძალა-უნებურად დაპატიმრება უნდა არჩიონ. შემდეგ ისევ შეიკრიბებიან ეს მუშები სახარების საკითხავად, ისევ დაესხმიან იმათ თავს, ოქმს შეუდგენენ, სამართალში მისცემენ და დასჯიან. სახარება, ოქმი და დაპატიმრება...

დღეს ქუჩაში მომხდარ ჩხუბში მონაწილენი და სახარების მშვიდობიანი მკითხველები ერთნაირ სასჯელს ითმენენ, ერთნაირი დამნაშავენი არიან. სხვა-და-სხვა ადგილებში ადგილობრივ პირობათა მიხედვით ეკიდებიან ამ მშვიდობიან დამნაშავეთ. ყველა ეს პოლიციის პირად შეხედულებაზეა დამოკიდებული. თუ პოლიცია მეტად გულ-მოდგინეა, შეუძლია ასობით შეაყენოს ამგვარი ოქმები, შეუძლია მრავალი ხალხი შეავიწროვოს და დასაჯოს.

ვინც დასწრებია სასამართლოში სექტანტების (მწვალებლების) საქმის გარჩევას, კარგად ეცოდინება, თუ რა სამწუხარო მოვლენაა ეს რუსეთის ცხოვრებაში. მსაჯულის წინ ჯგუფად დგანან დინჯი მუშები, ახალგაზდები და მოხუცებულები, ესენი საქმეს მოსწყდნენ და მოსამართლეს განჩინებას უნდა უცადონ. ამათ აბრალებენ კრების გამართვას, ერთად სალოცავად, საღვთო-წერილის საკითხავად...

ყველაზე უფრო შევიწროებულნი სამხრეთის მწვალებლები არიან. მრავალ ხალხს აძლევენ იქ პასუხის გებაში; აპატიმრებენ, ჯარიმას ახდევინებენ. ვინ ჩამოსთვლის ეხლა იმ ზნეობრივ სასჯელს, იმ დამცირებას, რომელსაც ითმენენ ეს უდანაშაულო „დამნაშავენი“. რამდენმა უნდა ჩაიხვიოს გულში მწარე გრძნობა. უსიტყვოდ მოითმინოს სასტიკი სასჯელი თავისი მოყვასისაგან, დევნა სარწმუნოებისათვის, ზნეობრივ რწმენისათვის.

სატახტო ქალაქებში დიდი მითქმა-მოთქმაა; სიტყვის აზრისა და რწმენის თავისუფლებას ითხოვენ. ამ დროს კი შუა გულ და სამხრეთ რუსეთში დუმილი სუფევს, საუკუნო დუმილი, რომელსაც არღვევენ მხოლოდ ოქმები მწვალებლების წინააღმდეგ და სამსჯავროს განაჩენი ღვთის მორწმუნე „დამნაშავეთა“ შესახებ.

⁂

„რუსკ. ვედ.“ი ეხება ძველსა და ყოველთვის ახალ ჭეშმარიტებასა რომ ერთობა უძლეველი ძალაა, რაიცა კარგა ხანია შეიგნეს განათლებულმა ხალხებმა. კრებები, სხვა და სხვა საზოგადოებანი, იქ კანონით არიან ცნობილნი. განათლებულ ქვეყნებში კრების გასამართავად წინდაწინვე არ უნდა სთხოვონ ნებართვა ადმინისტრაციას. თვით პრუსიაში, სადაც კანონმდებლობა სხვა ქვეყნებზე უფრო სასტიკად ეკიდება კრებებს, საჭირო არ არის კრების გასამართავად ნებართვის აღება, მხოლოდ პოლიტიკურ ხასიათის კრების გამართვის წინ პოლიციას უნდა აცნობონ ეს ამბავი. რუსეთში კი ეს საქმე სხვანაირად არის მოწყობილი.

ყველამ იცის, ამბობს გაზეთი, რა ძნელია რუსეთში ნებართვის მოპოვება მშვიდობიან, „კეთილ-საიმედო“ საზოგადოების დაარსებისათვის. რამდენჯერ უარ უყვიათ ამგვარ „მშვიდობიან“ საზოგადოების დაარსების მსურველთა შუამდგომლობა. კრებების გამართვა-კი მთავრობის ნებადაურთველად სასტიკადაა აკრძალული რუსეთში. ამ წესის დამრღვევთ სასტიკი სასჯელი მოელის. ყველამ იცის აგრეთვე, თუ რამდენად უზრუნველყოფილია უკვე არსებულ, მთავრობისაგან ნებადართულ საზოგადოებათა კეთილ დღეობა. ადმინისტრაციას უფლება აქვს მინიჭებული გაერიოს ყოველნაირ საზოგადოებათა საქმეებში, მოსპოს და პასუხის გებაში მისცეს საზოგადოების წევრნი და მეთაურნი. ხშირად მოხდება, რომ ხანგრძლივი მეცადინეობის შემდეგ დაარსებულ საზოგადოებას უეცრად სრულებით მოულოდნელად ბოლო მოეღება ხოლმე. ადმინისტრაცია თავის პირად შეხედულების დაგვარად მოქმედებს და მიზეზის აუხსნელად აუქმებს საზოგადოებას. ყველას კარგად ახსოვს, როგორ ერეოდა ადმინისტრაცია არსებულ საზოგადოებათა საქმეებში, როგორ პასუხის გებაში აძლევდა კრებების წევრებს, რომლებმაც გავლენიან პირთათვის რაიმე არა სასიამოვნო სიტყვა წარმოსთქვეს.

ამისთანა მდგომარეობაში მყოფთ, განა შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ჩვენ „კავშირთა შედგენის უფლება“ გვაქვს. უკვე არსებულ საზოგადოებანი სულს ღაფავენ, უშინაარსოდ და უსიცოცხლოდ მოქმედებენ.

ჩვენი „რეაქციონერები“, რასაკვირველია, იტყვიან, რომ მხოლოდ იმ საზოგადოებათ აუქმებს ადმინისტრაცია, რომელნიც თავის ფარგალს ასცდნენ, „მავნე“ გზას დაადგნენო. ამ გვარ სიტყვებს არა აქვს საფუძველი, რადგან საზოგადოების დახურვის მიზეზს საჯაროდ არ აცხადებენ; საზოგადოებას იმისი მოქმედების განუხილავად უსპობენ სიცოცხლეს.

დროა შევიგნოთ, რომ 150 მილიონი ხალხი ნამდვილ პროგრესის გზას ვერ დაადგება, თუ ადამიანის პიროვნება შევიწროებულ, „უფლებაახდილი“ იქნება. კავშირის და კრების უფლება კი ადამიანის უპირველესი უფლებაა.

სასამართლო

ცილის წამება

30 ოქტომბერს ტფილისის მეორე განყოფილების მომრიგებელმა მოსამართლემ გაარჩია საქმე ხმოსნის მ. ივ. სვეშნიკოვისა და ქალაქის სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის უფროს ზედამხედველის ბ. ს. ბაბოვისა, რომელთაც ხორცის დუქნების დროებითი გამგე მარქარ ბეკ-ავაქოვი უჩიოდა, ცილი დამწამესო. ბეკ-ავაქოვი თავის საჩივარში სწერს, „მაშენიკი“ დამიძახეს სვეშნიკოვმა და ბაბოვმაო. ბრალდებულთ ბაბოვსა და სვეშნიკოვს მომრიგებელ მოსამართლესთან იცავდა ნაფიც ვექილის თანაშემწე ნიკ. ხახუტოვი. ხოლო ავაქოვის მხრით ბრალსა სდებდა ნაფიც ვექილის თანაშემწე მზარეულოვი. მოსამართლესთან გამოსაკითხავად დაბარებული იყო სამი მოწმე: ქალაქის მოურავის მოადგილე თავ. ვ ნ. ჩერქეზიშვილი, ხმოსნები ა. ბ. ევანგულოვი და ა. ს. ღულაძე. თავ. ჩერქეზიშვილმა აჩვენა შემდეგი: როდესაც ქალაქის დუქნების გამგე ბეითალმა ბ. კანცელმახერმა თავი დაანება, იმის მაგიერ ამ თანამდებობაზედ დაინიშნა მარქარ ბეკ-ავაქოვი. რადგან ქალაქის გამგეობას არა დაუდგენია რა ავაქოვის დანიშვნის შესახებ, შეიქმნა მითქმა-მოთქმა, როგორ მოხდა იმისი დანიშვნაო. შემდეგ გავიგე, რომ ბეკ-ავაქოვი კომისიის დადგენილებით კი არა, თვით თავმჯდომარეს მოუწვევია, შევიტყვე აგრეთვე, რომ ბევრი ხმოსანი უკმაყოფილო იყო, ბეკ-ავაქოვი პატიოსან კაცად არ მიაჩნიათ და ამას გარდა აღნიშნულ თანამდებობასაც ვერ შეასრულებსო. სხვათა შორის, ხმ. სვეშნიკოვისაგან გავიგე რომ ბეკ-ავაქოვი სანდო კაცი არ არისო. სავაჭრო სამეურნეო პოლიციის ზედამხედველს ბაბოვს ჩემთვის არ უთქვამს, ავაქოვი უპატიოსნო კაციაო. ბაბოვმა ის მითხრა მხოლოდ, რომ ავაქოვი სანდო არ არის, რადგანაც საქალაქო გადასახადებს იმისაგან სასამართლოს ძალითაც ვერ ვღებულობთო. ხმოსნებისაგან გავიგე, რომ მე-კი ავაქოვმა კომისიის დაუკითხავად იყიდა საკლავი საქონელი ძვირად და ქალაქს ზარალი მიაყენა. ხმოს. ა. ბ. ევანგულოვმა განაცხადა, დროებით ბეკ-ავაქოვი მოვიწვიე დუქნების გამგედ. შემდეგ ანდრია ღულაძისაგან შევიტყე, რომ ბევრი უკმაყოფილებას აცხადებს ავაქოვზე, რომ ის უპატიოსნო კაციაო. ამის შესახებ მოლაპარაკება მქონდა თავ. ჩერქეზიშვილთან და იმან მითხრა, ხმოს. სვეშნიკოვმა განაცხადა, ბეკ-ავაქოვი „მაშენიკიაო“. ამის შემდეგ ბ. ს. ბაბოვს შევეკითხე და იმან პირდაპირ მითხრა: „ბეკ-ავაქოვი მაშენიკია“, ასე ამბობს მთელი „ქალაქიო“, მაგრამ ფაქტები კი არ დამისახელა სვეშნიკოვსაც შევხვდი და მანაც ასევე მითხრა და ავაქოვის „მაშენიკობის“ დასახასიათებლად დამისახელა ორი მაგალითი: 1. რომ მან რაღაც ცუდის განზრახვით ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკში გადააგირავა თავისი სახლი და 2. სახლის გაყიდვის დროს მყიდველის დაუკითხავად სახლის ეზოს რკინის ალაყაფის კარები გამოაცალა და ნაცვლად ხისა გაუკეთა. ხმოს. ღულაძემ აჩვენა: როცა შევიტყვე კანცელმახერის გადადგომა, ბეკ-ავაქოვს, რომელსაც 15 წელია ვიცნობ როგორც პატიოსანს კაცს, წინადადება მივეცი, ხომ არ იკისრებდა დუქნების გამგებლობას. მან თანხმობა განაცხადა და მეც იგი წარვუდგინე ევანგულოვს კანდიდატად. შემდეგ, როცა ხმები გავრცელდა, რომ იგი უპატიოსნო კაციაო, შემთხვევით ქალაქის გამგეობის კიბეზე შევხვდი ბ. ს. ბაბოვს, რომელმაც შემაყენა და მითხრა: „როგორ დანიშნეთო“ ვინა მეთქი? „როგორ დანიშნეთო ისეთი კაცი დუქნების გამგედ, რომელსაც მთელი ქალაქი „მაშენიკად“ და უპატიოსნო კაცად იცნობსო“. შემდეგ კომისიის სხდომაზე ესევე გაიმეორა ბაბოვმაო. მომრიგებელმა მოსამართლემ საქმე გადასდო და ბრალდებულთა ვექილის თხოვნის თანახმად გამოიწვია მოწმები ხმ. ს. ზ. მირზოევი, ქანანოვი და ქალაქის გამგეობის მოხელე მარტიევი.

რუსეთის ქრონიკა

◆ გაზ. „ნოვოსტი“ში შემდეგი ამბავია დაბეჭდილი: 25 ოქტომბერს, ნაშუადღევის 2 საათზე სტუდენტებმა კრება მოახდინეს პეტერბურგის უნივერსიტეტში; კრების შემდეგ გამოვიდნენ უნივერსიტეტიდან, სიმღერითა და ყვირილით წავიდნენ მდინარე ნევის ნაპირ-ნაპირ, გაიარეს სასახლის ხიდი და ნევის პროსპექტით გაემართნენ. ამ პროსპექტზე სტუდენტები ორად გაიყვნენ: ორას კაცამდე ნევის პროსპექტის მარცხენა მხარეს გადავიდა: ამათ მარსელიეზა დამღერეს და წავიდნენ წინ დანარჩენები, „კონსერვატორები“ „დენნიცას“ მღეროდნენ და ნევის პროსპექტის მარჯვენა მხრით დაუყვნენ. მრავალი ხალხი შეიკრიბა სტუდენტების პროცესიის საყურებლად. ორად დაყოფილი სტუდენტები ერთმანეთს პროტესტს უცხადებდნენ; ორივე მხრიდან სტვენა და ყვირილი ისმოდა. საქმე იმდენად გამწვავდა, რომ კინაღამ ჩხუბი არ ასტყდა ამ ორ მოწინააღმდეგე პარტიების შორის. მალე მოვიდნენ გრადონაჩალნიკის თანაშემწე გენერალი — ვენდორფი და პოლიცმეისტერი და დააჯერეს მანიფესტანტები დაშლილიყვნენ. 4 საათზე სტუდენტები აღარ სჩანდნენ ნევის პროსპექტზე, ამნაირად მშვიდობიანად დასრულდა ეს მანიფესტაცია, რადგან პოლიციის ძალადობა არ უხმარია და სტუდენტები უფრო არ გაუწვევებია.

◆ ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოცხადებული ცნობებით, 1903 წ. სახაზინო არაყის სავაჭროებიდან ხაზინას წმინდა შემოსავალი ჰქონია 389 მილიონი მანეთი, წინა წლისაზე 99 მილიონ მანეთით მეტი. 1903 წელს სულ 28,247 არაყის სავაჭრო დუქანი ჰქონდა ხაზინას, სადაც გაიყიდა 70 მილიონი ვედრა არაყი.

◆ ვლადივოსტოკიდან სწერენ „რუსკ. ვედ.“-ს, რომ აღმოსავლეთის ენების ადგილობრივ ინსტიტუტის დირექტორის მეოხებით მღვდლის მაგიერ, რომელიც აქამდის ვლადივოსტოკის გამოცემების ცენზორად იყო, საერო კაცს დანიშნავენო.

◆ ადესის სასამართლოში ამას წინად ერთი საქმის განხილვის დროს წამომდგარა ნაფიცი მსაჯული ლაზარევი და თავმჯდომარისათვის უთხოვია, ფიცისაგან და საზოგადოდ ნაფიცი მსაჯულის მოვალეობისაგან გაენთავისუფლებინა. ამ ორი წლის წინად ერთი საქმის განხილვის დროს მივემხრე ბრალდებულის დასჯის მსურველთ და მას აქეთ სვინიდისი მტანჯავსო. თავმჯდომარემ უპასუხა, ფიცისაგან გაგანთავისუფლებთ, მსაჯულის მოვალეობისაგან-კი ვერაო. პირობა უნდა მოგვცეთ, რომ პირუთვნელად დასდებთ მსჯავრსაო. ლაზარევმა ამაზე უპასუხა: ჩემი რწმენის თანახმად, როდესაც კი მომიხდება საქმის განსჯა, ყოველთვის გავამართლებ დამნაშავეთაო. ამ სიტყვების მიუხედავად ლაზარევი მაინც არ გაანთავისუფლეს მსაჯულის მოვალეობისაგან.

◆ „ნოვ. დნია“ სწერს, „რ. ვ.“-ის სიტყვით, შინაგან საქმეთა მინისტრმა თავ. სვიატოპოლკ-მირსკიმ ნება დართო მოხდეს 20 იანვარს 1905 წ. ტვერში საგუბერნიო საერობო მორიგი კრება. გამგეობის ახალი წევრები უნდა აირჩიონ ნაცვლად ძველის წევრებისა, რომლებიც მთავრობისგან იყვნენ დანიშნულნი.

◆ პერიოდულ გამოცემებზე განსაკუთრებულ გადასახადის შემოღებას აპირებენ. ოთხ რიგად იქნება დაყოფილი ეს გადასახადი. გავრცელებულ გამოცემებს ათას მანეთამდე გადახდებათ წელიწადში, გარდა დამატებითი გადასახადისა, რომელიც წმინდა შემოსავალიდან უნდა იქნას შეტანილი.

◆ ახლად მოსულმა შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგმა მოგილევში მიიღო ებრაელთა დეპუტაცია, რომელმაც მინისტრის ამხანაგს მოხსენება მიართვა პოლიცმეისტერის როდიონოვის მოქმედების შესახებ. მინისტრის ამხანაგმა უპასუხა დეპუტაციას, რომ უკმაყოფილობის [illegible] თვის დამნაშავე მოხელენი დაისჯებიანო. [illegible] ადგილობრივ ადმინისტრაციაში მოსამსახურე მოხელეთა შეცვლას.

◆ მშრომელ ქალთა საზოგადოება ხარკოვში აპირობს იშუამდგომლოს საერო განათლების მინისტრის წინაშე, მინისტრის აქ მოსვლის დროს, ქალთა უმაღლეს კურსების გახსნის შესახებ.

◆ მალოროსიის გამოჩენილ პოეტს ფედორჩენკოს აღუძრავს შუამდგომლობა, რათა ნება მისცენ გამოსცეს ყოველ კვირეული გაზეთი „ნედელია“. ჟურნალში მონაწილეობას საუკეთესო მწერლები მიიღებენ.

◆ მალოროსიულ-რუსული ლექსიკონის შედგენა ეხლახან სრულდება. ლექსიკონში დაახლოვებით 75 ათასი სიტყვაა ახსნილი. ამ ლექსიკონის შედგენას სამოცი წლების დასაწყისში შეუდგნენ.

პანამის შავი ქვის მადნები.

დიდი ხანია პანამის კარდილერების (ამერიკის ჩრდილოეთი) შავი ქვის მადნები მრეწველთა ყურადღებას იზიდავდა. ეს მადნები გაჭიმულია 300 ოთხკუთხ მილის მანძილზე, მაგრამ ისე ზედმიუდგომლებით და გზებით [illegible], როგორც ჩვენში. მადნები აქა-იქაა. 1890 წლიდან აქაურს მადნებსაც დაუწყეს მუშაობა და პატარ-პატარა პარტიებათ უფრო მომეტებული ნაწილი ინგლისში გაჰქონდათ.

1896 წელს შესდგა „კარაიბას შავი ქვის კომპანია“, რომელმაც სოლედადის მთებში ოთხს ადგილს დაიწყო და გააჩაღა მუშაობა. ეს ადგილები 15—20 ვერსზე არიან ზღვას და ამ კომპანიამ რკინის გზაც გაიყვანა პორტობელლოს ნავთ სადგურამდე. თუმცა ჯერ-ჯერობით ბევრი არაფერი გაუტანიათ ამ მადნებიდან, სულ ორი მილიონი ფუთი თუ იქნება გატანილი ჩრდილოეთის ამერიკის შტატებში, მაგრამ აქაური შავი ქვა თვისებით თურმე ყველა სხვა ქვეყნის შავ ქვაზე უკეთესია: 57.50% წმინდა ლითონი, 4,18% კაჟნარი, 2,73% სილოველე და ფოსფოროც 0 08%, ჩვენებურს შავ ქვას აქვს 0.1% —018% ფოსფორი და 6—12% კაჟნარი და ბრაზილიისას 0,05% ფოსფორი და 3% კაჟნარი. ა, ასეთი კარგი თვისებისაა ყოფილა პანამის შავი ქვა.

სულ პანამის შავი ქვა ოთხ მილიონზე მეტი არ არის ამოღებული და დამუშავებული დღემდის. მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში აქაურ ქვის დიდსა და მდიდარს ღირსებას და სხვა პირობებსაც, რომელნიც ხელს უწყობენ იმის წარმოების გაძლებას (ჩვენში ჯერ მარტო ჭიათურის მთაზე დაწესებული ტარიფი [illegible] კაპეიკი ფუთზე გადასახადი 38 ვერსის მანძილზე!), ჩვენ ახლავე შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ჩვენი შავი ქვის წარმოებას ერთი დიდი მეტოქე კიდევ გაუჩნდა მსოფლიო ბაზარზე.

რომანოზ ფანცხავა.

წერილები

რაჭა. ყველამ იცის, რომ სასოფლო მეურნეობა შეადგენს ერთს უპირველეს საძირკველს ჩვენის ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობის ასაწევად და მისდა გასაუმჯობესებლად. ჩვენი ქვეყანა — ამერეთი და იმერეთი — აჭრელებულია ყოველნაირის სამეურნეო დარგით. ერთს მხარეში ჰხარობს სიმინდი, მეორეში პური, მესამეში ჰყვავის მევენახეობა და მეღვინეობა, მებაღეობა, მებოსტნეობა და სხ. ეს ასეც უნდა იყოს. ჩვენი მხარე მდიდარია სხვა და სხვა ნაირ ნიადაგითა და ჰავით. რაჭაში მეღვინეობის ცენტრად ითვლება ხვანჭკარის საზოგადოება (ტოლა, ხვანჭკარა და ჩორჯო), იქ სადაც სცხოვრებენ თავ. ყიფიანები, სადაც ღვინო მოინათლა „ყიფიანის ღვინის“ სახელით. ერთად-ერთ რაჭულ ღვინის ბაზრად ითვლება ქუთაისი, რადგან სხვა ქალაქებში უგზოობის და სიშორის გამო ჯერ არ გასულა და ვერც იცნობენ ამ ღვინოს. ქუთაისში ეს ღვინო ჩამოდის ტიკებით და რჩება აქ ტიკებშივე, სანამ მთლად არ გაიყიდება. ჩვენში არ იციან, რა არის ბოჭკა, არ იციან თუ იგი, ე. ი. ბოჭკა ითვლება ერთ საუკეთესო გადასაზიდ ჭურჭლად (გარდა ბოთლების). არ იციან, რომ ბოჭკა ღვინოს არ უცვლის არც ფერს და არც ხორცს. აქედან ადვილი გასაგებია, თუ რატომ არა ჰხვდებით რაჭულ ღვინოს რუსეთში კი არა, თითქმის ტფილისსა და ბათუმშიაც-კი. ხვანჭკარიდან ქუთაისამდე არის 72 ვერსტი, ამდენი მანძილი უნდა გაიაროს ტიკში ჩასხმულმა ღვინომ. ეს ტიკები ან ცხენით მიაქვთ ან ურმით. რასაკვირველია, პირველსა და მეორე შემთხვევაშიაც ღვინო ფუჭდება, რადგან მუდმივ მოძრაობაშია. ამ ქანქალში ტიკი ადვილად აძლევს ღვინოს კუპრს. დაკუპრიანებულს ღვინოს დიდ წუნსა სდებენ. კახეთიდან ღვინო ჩამოდის ტფილისში ბოჭკებით და არცა ფუჭდებაო, ამბობენ, ყიფიანის ღვინო ვერ იტანს მგზავრობასაო. შემცდარი აზრია. ეს ღვინო არასოდეს არ გაფუჭდება, თუ იგი ბოჭკებით ან ბოთლით გაიგზავნა. ამას წინად რამდენიმე ბოთლი ღვინო ჩამოვიდა რაჭიდან. ამ ღვინომ აღტაცებაში მოიყვანა საუფლისწულო უწყების სარდაფის მეღვინეები და ყველამ ერთ ხმად აღიარეს, რომ ამ ღვინისაგან გაკეთდება ჩინებული „პორტვეინი“-ო*).

ყიფიანის ღვინო კეთდება უმთავრესად „ალექსანდრეულის“-გან (იგივე კაბისტონი). ალექსანდრეულის მწიფე ყურძენი მეტად შაქრიანია, ასე რომ როდესაც კაცი ხელში იღებს მტევანს საჭმელად, თითები ერთმანეთს ეკვრება ყურძნის წვენით. ამ ზედმეტ სიტკბოს გამო ღვინო ვერ ასწრებს მთლად

---

*) პორტვეინის სიმაგრე არის 18-20%-მდე. ასეთ ღვინის მომზადება კავკასიაში საძნელოა, რადგან ჩვენში ყურძენს ბუნებრივი შაქარი ცოტა აქვს. ავტ.

გადადუღებას; ვერ ასწრებს შაქარი სპირტსა და ნახშირ-მჟავეში გადასვლას და ამის გამო რამდენიმე პროცენტი შაქრისა რჩება გადაუდუღებლად, რის გამო მომეტებული ნაწილი ყიფიანის ღვინოებისა აგმოდის ტკბილი. რასაკვირველია, ასეთ შაქრიან ყურძნისაგან შეიძლება დავაყენოთ ჩინებული ღვინო პორტვეინის სახისა. ნამდვილი პორტვეინი კი მოდის მხოლოდ პორტუგალიაში. ხვანჭკარის საზოგადოებასა და ქვემო რაჭის სხვა ადგილებშიაც ვენახები შავ გენენ ბევრის მცხოვრებისთვის ერთად-ერთს წყაროს სხვადასხვა მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. მოჰყავთ კიდეც კარგი ღვინო, მაგრამ, უგზოობისა გამო, გასაღება ძნელია. რაჭაში ერთი საფოსტო გზაა და უვარგისი და საშიშია. ცოტა არა ყოფილა ისეთი შემთხვევა, როდესაც ამ გზიდან გადაცვივნული ურმები და ჯორები დაღუპულან ცხენიან-კაციანა. შეძლება არაა, შემოიტანონ ჩვენში ის გაუმჯობესებული მანქანები, რომელიც საჭიროა მეღვინესა და საზოგადოდ მემამულისათვის. ამის გამო ჩვენი მეღვინეობა ძველებურ კვალს მისდევს და, სამწუხაროდ, არც გადაუხვევს ამ კვალს, სანამ ჩვენში მიმოსვლა არ გაუმჯობესდება. კახეთმა, ეჭვი არაა, წინ წაიწია საუფლისწულო სარდაფების და ვენახების წყალობით. ხალხმა შეიგნო ვენახის სხვლის წეს-რიგი, ღვინის დაყენება; შემოიღეს ბოჭკები. სხვაგან ამ გვარ მაგალითების მიმცემი არ არის. არც კერძო ინიციატივაა გაღვიძებული. რაჭაში ასეთი ინიციატივა, მე მგონია, ყიფიანებმა უნდა იკისრონ. რაკი ყიფიანებს შეძლება ხელს უწყობთ, ადვილად შეუძლიანთ გააკეთონ პატარა სარდაფები, თუ სათითაოდ არა, ერთად მაინც,—ამხანაგობით,—შემოიღონ ბოჭკები, გააჩერონ თავიანთი ღვინო ამ სარდაფებში 2—3 წელიწადს მაინც.

ჩვენში ქურებში ღვინოს ერთს წელიწადზე მეტს არ აჩერებენ. ამით კი უკარგავენ იმ ძვირფასს თვისებას, რომელიც ჩნდება ღვინოში 2—3 წლის შემდეგ. ღვინის სიმკვე (სურნელობა), სიმაგრე და საერთო ჰარმონია ღვინისა ჩნდება იმ 2—3 წლის შემდეგ. ერთის წლის ღვინოში კი ასეთ თვისებებს ვერა ვნახავთ. ჩვენებური ალექსანდრეული, დარწმუნებით ვიტყვი, თუ იგი გააჩერეს ბოჭკებში 2—3 წელიწადს, კონკურენციას გაუწევს შესანიშნავს ევროპიულს სორტს—კაბერნეს. ამბობენ, კახეთში აარსებენ მეღვინეობის სასწავლებელსო. ურიგო არ იქნება, ჩვენც ვეცადნეთ დავიარსოთ ერთი დაბალი სამეურნეო სასწავლებელი. ყველამ იცის, რომ თავად-აზნაურობას დაუბრუნდა უმაღლესად ნაზოძები ფული 20,000 მანეთი. შეიძლება მცირეოდენი ამ თანხიდან გადაიდოს, ცოტასაც ხაზინა მოგვცემს და ამ რიგად მოეწყობა საქმე. დ. ყვირილასა და იქვე ახლომახლო სოფლებში საქმის სანერგის წყალობით ყველას ევროპიულ გემოზედ აქვს გაშენებული ვენახი, რის გამოც შემოსავალმა ერთი-ორად იმატა. ჩვენშიაც ასე იქნება. რაჭველი კაცი, როგორც შრომის მოყვარე, უფრო მალე შეითვისებს ყველაფერს, ენერგიას ერთი-ხუთად გაიორკეცებს და კლდე-ღრეში გაშენდება რიგზედ ჩამწკრივებული ვენახები.

მეღვინე ქ. გაბიჩვაძე.

რაჭა. გათავდა რაჭაში პირნახულის მოწევა. შემოდგომაა სოფლის ხალხის დღესასწაული. ამ დროს გული მაძღარი აქვს ყველას, იმართება ნათელა-ქორწილი. ყოველი ლხინი თავდება უზომო ღვინის სმით და ხშირად ცემა-ტყეპითაც. შემოდგომაზე მღვდლებს დიდი შემოსავალი აქვთ. ჯვარის საწერს უსათუოდ ერთ თუმანს იღებენ გლეხისაგან და აზნაურისაგან ხომ მეტსაც. მიიწურება თუ არა ხსნილის დღეები, რაჭველი აიკიდებს გუდა-ნაბადს და მიეშურება ქალაქისაკენ ფულის მოსაგებად. ქალაქისაკენ მიმავალ რაჭველს საგზლით სავსე ხურჯინი ზურგზე ჰკიდია. ორი კვირის წინად ამავე რაჭველს, გზაში რომ შეხვედროდით, ვიღაც დიდი ვაცი გეგონებოდათ. ამშვენებდა ბუზმენტიანი ჩოხა, ფარჩის ახალუხი და ყვითელ შიგრინის წუღა-მესტი. რაჭველს არც კარგი ტანისამოსი აკვირვებს და არც დახეულ ჩოხისა რცხვენიან.

ვ. ჭიჭინაძე.

ხოფ. ჟოშხა (ლეჩხუმი), არა მგონია, ჩვენი სოფლისთანა სწავლა-განათლების მხრივ ჩამორჩენილი და მივიწყებული სოფელი სადმე მოიპოვებოდეს. ჩვენს სოფელში, სადაც ას ოთხმოცამდე მცხოვრებია, სანთლითაც ძლივს იპოვნით წერა-კითხვის მცოდნეს. იშვიათად შეხვდებით ჩვენებურ კაცს, რომელიც სასწავლებელში ზრდიდეს შვილს ანუ ნათესავს. თუმცა სოფლის სკოლის ხარჯს იხდიან, მაგრამ სარგებლით ვერაფერს სარგებლობენ, რადგან სკოლა მოშორებულ სოფელშია. ამ ორი წლის წინად ჩვენში ზოგიერთმა განიზრახეს ეკლესიასთან ერთ-კლასიან სამრევლო სკოლის დაარსება. სკოლა დიდს სარგებლობას მოუტანდა ამ სოფლის მკვიდრთ. მთავრობამ ნება დართო, მაგრამ მალე გამოჩნდნენ ისეთებიც, რომელთაც არ ეპიტნავათ სკოლის დაარსება და მოიწადინეს საქმის ჩაშლა, რაიცა ადვილად შესძლეს. რა ეშმაკად გვინდა სკოლაო, რაში ესაჭიროება ჩვენს შვილებს სწავლა, აგონებდნენ ხალხს: ჩვენმა შვილებმა რო წიგნი ისწავლონ, გადაიხვეწებიან სხვა-და-სხვა ქალაქებსა და სოფლებში და ჩვენ აღარ მოგვხედავენო. იმათ ცდას უნაყოფოდ არ ჩაუვლია და ჩვენს სოფელში დღესაც არაა სკოლა.

ზედაჟოშხელი.

ლეჩხუმი. რომ იტყვიან, დამწვარს მდუღარეო, სწორედ ისე მოგვივიდა. აუტანელი სიღარიბე და მასთან სიძვირე ყოველ სარჩოსი. ფუთი სიმინდი რვა აბაზათ არის, რამდენჯერ შევხვედრივარ დ. ლაილაშს დედა-კაცს, რომ ნახევარ ფუთობით სიმინდი უყიდნია 80 კაპ. და ასე გაჭირვებით უკვებნია ოჯახი. მაგრამ მაინც იმედით იყვნენ, ეგონათ წლევანდელი მოსავალი გვიშველისო. სამწუხაროდ, ეს იმედით გაცრუვდა: მოსავალი ცუდი იყო. იარმუკასაც ვერას გამორჩნენ. გლეხი ზრდის თითო უღელ ხარს და ჰყიდის იარმუკაზე 100 მანეთიდან 130 მანეთამდის. ამ ფულით გლეხები ყიდულობენ ახალ მოზვრებს უღელ 50 მანეთად; დანარჩენს ფულით სხვა-და-სხვა გადასახდს ისტუმრებენ. წელს ამ სეკტემბრის იარმუკაში ნება არ მისცეს გლეხებს, სოფლებიდან პირუტყვი შემოეყვანათ, რადგან ჭირი ყოფილა, იმერეთში.

მუნჯი

ყვირილა. 14 ოქტომბრიდან დაწყებული 20 ნოემბრამდე ყოველ წელს აქაურს ქუჩებსა და დუქნებში დიდი უწესოება ხდება. მთელის შორაპნის მაზრიდან სამხედრო ბეგრის მოსახდელად გაწვეულნი აქ იღებენ კენჭს; იკრიბებიან ჯგუფ-ჯგუფად დუქნებსა და ქუჩებში, თვრებიან, ყვირიან, ილანძღებიან, ქალსა და კაცს ვერც დღე და ვერც ღამე ქუჩაში ვერ გაუვლია, ისვრიან რევოლვერებს და ერევიან ერთმანეთს კეტებით; მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევს. ზოგიერთ უბანში ქუჩის დარაჯიც მათთან ქეიფობს. 29 ოქტომბერს დარაჯმა უმიზეზოდ დასჭრა ფუტკარაძე. 14 ოქტომბერს, ღამის პირველ საათზე, რამდენიმე ჯგუფი, ჯარის კაცთა დარაჯებთან ერთად ნაქეიფარნი და უგრძნობლად მთვრალნი, კეტებით ხიდზე დარბოდნენ, ჰყვიროდნენ და თეატრიდან მომავალი ხალხი კინაღამ ხიდიდან წყალში გადაყარეს.

დაიწყო ხშირი წვიმები თუ არა, ჩვენი ქუჩებიც აივსო წუმპე-ტალახით. ტალახს არ დაეძებს კაცი; უბედურება ის არის, რომ რაც კარგ ამინდის დროს ქუჩებში ნეხვი ჰყრია, წყალი ალპობს და ცუდის სუნისაგან სახლოდ ვერ გაგვივლია. სავაჭრო მოედანი ხომ ტალახისა და ნეხვის ბუდეა. თუ სხვას არას ეძებენ დალოცვილები, ხოლერისა მაინც არ ეშინიანთ. სანიტარებიც გვყვანან და დაბის პატრონებიც, მაგრამ მარტო სახელის „სანიტარი“ და „დეპუტატი“-ს ტარება საქმეს ვერ გააკეთებს, საჭიროა მოქმედებაც. მოედნისა და ქუჩების გასაწმენდად მკვიდრნი დიდ ხარჯს ეწევიან, ანგარიშებს—ანგარიშებზე ბეჭდავენ, საიდანაც სჩანს, რომ ქუჩებსა და მოედნის გაწმენდას ათასობით მოხმარდება... დროა, დრო ყველამ სადის თვალით შეხედოს საქმეს.

ხაფულიელი

ხოფ. მეტეხი. (ქართლი). მთელი ჩვენი სოფელი ვენახებით არის შემოსილი. ამ თხუთმეტის წლის წინად შემოდგომობით აუარებელი ღვინით დატვირთული ურმები მიდიოდა მეტეხიდან გორს, ტფილისს და სხვა ადგილებში და, აი, ეს თხუთმეტი წელიწადია, რაც არა თუ გასაყიდი, სახლში სამყოფი ღვინოც აღარ მოსდით მცხოვრებთ. აქაური ეხლა მხოლოდ თუნგობით ანგარიშობს თავის მოსავალს: მე ამდენი თუნგი მომივიდა, მე ამდენიო. მეტეხელი ქონებრივად ძალიან მოუძლურდა და დიდ საგონებელში ჩავარდა. გლეხი მევახშეების მსხვერპლად გახდა და მათ ბატონობის ქვეშაა. არა აქვთ მეტეხლებს აგრეთვე თავიანთი სახნავ-სათესი ალაგები და მხოლოდ ვაინარჩობით მიდიან იოლად სხვა და სხვა მებატონის მამულებში. დიდის ღალის ძლევით იღებენ იჯარით ტყეს, საძოვრებს, სახნავებს. ამ დღეებში მეტეხლებმა ერთის კვირით გადაცდინეს და ეგრედ წოდებულ აბურიანის საქონლის საბაჟახოში 550 მანეთი გარდაიხადეს. ამ გადაცდენამ გამოიწვია წასხმა საქონლისა, ორმოცდა ათ სულამდე. საქონელი დაუბრუნდა ორი დღის შემდეგ გვერდებ ჩაცვივნული. ამ ნაირად დაქვეითებული და ველში მოხრილი მეტეხელი ეხლა სოფელს გაურბის და სამუდამოდ მიეშურება ქალაქებისაკენ. მომეტებულ ნაწილად აქაურები ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე მიდიან, მაგრამ რკინის გზა ხშირად აბრუნებს მეტეხლებს კისერ, ფეხებ და ფერდებ ჩანგრეულს. ამ დღეებში ტფილისის თვითმმართველობის დაუდევრობამაც იმსხვერპლა ერთი აქაური გლეხი. ქუჩის გაყვანის დროს მიწის ქვეშ მოჰყვა და დაიღუპა გუგულაშვილი, რომელსაც ექვსი პატარა შვილი დარჩა. ეს ობლები დარჩნენ ულუკმა-პუროდ.

დათიკო ნიაბელიძე

წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ ამ მცირე წერილს ადგილი დაუთმოთ.

წელს ტფილისის საბადოსნო სასწავლებელში სწავლა დაამთავრა ოზურგეთის მაზრის მცხოვრებმა ნოე გელაძემ, რომელიც მეტად ღარიბ დედმამის შვილია. რადგან ემაწვილს უნდოდა, რუსეთში განეგრძო სწავლა, სახსარი კი არავითარი არა ჰქონდა, ურჩიეს: ბ-ნ ცხვედაძეს მიჰმართე, სარაჯიშვილის სტიპენდიების განაწილება იმასა აქვს მინდობილი და ის დაგეხმარებაო. მიურთმევია გელაძეს ბ-ნ ცხვედაძისათვის თხოვნა. როდესაც ბ-ნ ცხვედაძეს თხოვნაში წაუკითხავს—ოზურგეთის მაზრის მცხოვრებიო, თხოვნა მაშინვე უკუ უგდია და მადლის კილოთი უთქვამს: გურულებს მე სტიპენდიებს არ მივცემო. თუ ეს მართალია, ასეთი საქციელი არ ეპატიება იმ ქართველ კაცს, რომელსაც საზოგადო მოღვაწეს ეძახიან

ი. ზომართელი.

ღამის დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

1 ნოემბერი.

ლაძიაპუ, 31 ოქტომბერი მანჯურიის პირველ არმიის უფროსი გენერალი ლინევიჩი მივიდა თავის არმიის ჯარებთან.

მუკდენი, 30 ოქტომბერი („რეიტერი“). არავითარი ცვლილება არ მომხდარა.—საარტილერიო ბრძოლა არ შეწყვეტილა და სამხრეთ-დასავლეთის მხარეს მეტად გამწვავდა—29 ოქტომბერს იაპონელებმა ყუმბარები დაუშინეს რუსის პოზიციებს. რუსებს პასუხი არ გაუციათ.—30 ოქტომბერს შუადღისას რუსების მარჯვენა ფრთაზე გამწვავებული საარტილერიო ბრძოლა იყო.

ლონდონი. კუროკის არმიასთან მყოფი „რეიტერი“-ს კორესპონდენტი იუწყება, რომ 31 ოქტომბერს რუსის ჯარი შახეს ჩრდილოეთით იდგა. რუსების ყუმბარებმა მცირე ზარალი მიაყენეს იაპონელებს.

ტოკიო, („რეიტერი“). იაპონიის არმიის მთავარ სადგომიდან დეპეშით იუწყებიან, რომ მარცხენა არმიის ფრონტზე რუსები 28 ოქტომბერს ღამე წინ წამოვიდნენ ვუჩენტაიდან, მაგრამ უკუ-ქცეულ იქმნენო.—27 ოქტომბერს სიოცაიტუს მხარეს გამოჩნდა რუსის რაზმი—ქვეითა ჯარის 200 სალდათი და 300 ცხენოსანი; იაპონელთა რაზმმა უკუაქცია ისინი.

ტოკიო, („რეიტერი“). მოვიდნენ ვაშინგტონს მიმავალნი, ოკუს არმიასთან ამერიკის სამხედრო ატაშეებად ნამყოფნი, მაიორი კუნი და კაპიტანი კორრისონი. შახეს ბრძოლის შემდეგ ისინი პორტ არტურისკენ წავიდნენ იაპონელთა სამხედრო მოქმედების სანახავად. ატაშეებმა არ ისურვეს ბრძოლის ველზე საქმის ვითარების შესახებ ლაპარაკი და 6 დეკემბერს (?) სან-ფრანცისკოს მიდიან.

ინკოუ, 1 ნოემბერი („რეიტერი“). გუშინ დაიწყო ზარბაზნების სროლა იაპონელთა მთელ ფრონტზე, ჯარები-კი ჯერ-ჯერობით წინ არ მიდიან.

ჩიფუ, („რეიტერი“). აქაურ იაპონელ მოხელეთა აზრით, პორტ-არტურს ქრისტეშობამდის აიღებენ იაპონელები.

ალჟირი, 30 ოქტომბერი („რეიტერი“). ინგლისელთა გემ „ანტვერპენ სიტი“-დან იუწყებიან, რომ ეს გემი 25 ოქტომბერს გოძოს ჩრდილოეთით 30 მილის მანძილზე ბალტიის ფლოტის 11 გემს შეჰხვდა, რომლებიც აღმოსავლეთისაკენ მიდიოდნენ.

კანეა, 1 ნოემბერი („რეიტერი“). რუსის ესკადრა დაშავებულ გემების შეკეთებას შეუდგა ადგილობრივ მუშების საშუალებით.

ტოკიო, 30 ოქტომბერი („რეიტერი“). მთავრობას განზრახვა აქვს შეიტანოს პარლამენტში კანონ-პროექტი სამხედრო გადასახადების შესახებ, რომლითაც სხვა-და-სხვა საქონელს 1½ მილიონი იენი ბაჟი უნდა მოემატოს გარეშე სესხის კრიტიკოსთა საპასუხოდ ფინანსთა მინისტრმა სთქვა, რომ მთავრობის აზრითაც ეს სესხი კარგად არ არის განხორციელებულიო. პორტ-არტურის აღების დაგვიანებამ და ბალტიის ესკადრის წასვლამ ხელი შეუშალა მოლაპარაკებას და იძულებულ-ჰყო იაპონია სესხი ნაკლებ შეღავათიან პირობებით აეღო.

პეტროკოვი. მობილიზაციის დროს გაწვეულნი 1887 და 1889 წლებში სამსახურ გადახდილნი სათადარიგო ჯარის კაცნი შინ ბრუნდებიან, რის გამო საქალაქო და სასოფლო საზოგადოებათ გაუადვილდებათ მძიმე საქმე—სათადარიგო ჯარის კაცთა ღარიბ ოჯახებს დახმარება.

პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“.

1 ნოემბერი.

ჩიფუ, 30 ოქტომბერი. „დეილი ტელეგრაფის“ სამხედრო კორესპონდენტი ბენეტ ბერლეი იუწყება: გემ „სამსონით“ ცინდაოდან ჩიფუში წავედი და ალყა შემორტყმულ იაპონელთა წრე გავიარე. პორტ-არტურიდან 20 მილის მანძილზე შევნიშნე იაპონელების მრავალი სამხედრო გემი. გემებიდან გვანიშნეს, გაჩერებულიყავით. იაპონელებმა 9 საათი შეაჩერეს ჩვენი გემი. იმათმა ლეიტენანტმა გამოგვიცხადა, ალყას რაიონი გავიარეთო, ამიერიდან კერძო გემებს არ შეუძლიანთ პორტ-არტურს 30 მილზე მეტად მიუახლოვდნენო. იაპონელთა ესკადრას აზრადაც აქვს გაიძლიეროს ალყა.

ინკოუ, 30 ოქტომბერი („დეილ ტელ“.). აქ დიდძალ გემებითა და ნავებით აუარებელი საქონელი მოაქვთ. იაპონელები გზებს აკეთებენ. ინკოუში აგებენ სამოქალაქო შენობებს. იმ საწყობებს, სადაც დიდძალი სურსათი და საქონელია შენახული, უჭირავს 100 ათასი ოთხ-კუთხი ფუტი ადგილი.

რომი, 31 ოქტომბერი. გაზეთ „სეკოლოს“ კორესპონდენტი, რომელიც იაპონიის ჯარშია, იუწყება: ამბობენ, ჯავშნიან გემის „იაშიმას“ დაღუპვის შემდეგ, ინგლისმა იაპონიას დაუთმო თავისი ჯავშნიანი გემი „ოკეანი“, რომელიც ინგლისელთა შორეულ აღმოსავლეთის ესკადრაში იყო.

დაკარა, 31 ოქტომბერი. ადგილობრივი მცხოვრებნი მეგობრულად მიეგებებნენ. ესკადრის გემები ნახშირით იტვირთებიან.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

1 ოქტომბერი

ბელგრადი. სამხედრო სკოლის რამდენიმე მოწაფე უკმაყოფილო დარჩა ოპოზიციონურ გაზეთის ერთის წერილით, შევარდნენ რედაქციაში და უწესოება მოახდინეს. პოლიცია ჩაერია საქმეში, მოწაფენი გაიყვანეს რედაქციიდან და წესიერება აღადგინეს. მოწაფენი დატუსაღებულნი არიან და სასტიკად დაისჯებიან. ხვალ სკუპშჩინის სხდომა იქნება ამ კითხვის გადასაწყვეტად.

სოფია. მინისტრთა სხდომაზე თათბირი ჰქონდათ ას მილიონ სესხის საბოლოო პირობებზე. სესხის ფასი 82 იქნება და სარგებელი—5. პარიზის ბანკი (?) თხოულობს, რომ დიდი ავანსი იქნეს გაცემული კრუპის ზარბაზნების საყიდლად და დაინიშნოს საგანგებო კონტროლი იმ მარკების გაყიდვისა, რომელიც სესხის გარანტია უნდა იქნეს. მთავრობა თანახმაა მიიღოს ნაკლები ავანსი. გავრცელდა ხმა, რომ ბოლგარიის ბანკი მონაწილეობას მიიღებს სესხში 25.000.000-მდე, რომელიც უკვე მიღებული უნდა ჰქონდეს მთავრობას. ამ გვარად მთავრობამ ძალიან ცოტა ფული მიიღო და საჭირო იქნება ახალი სესხი.

ტრიესტი. იტალიელ თემების წარმომადგენლთა კრებამ ერთხმად დაადგინა, რომ პროტესტი გამოაცხადოს ინსბრუკში იტალიელებზე თავდასხმის გამო, და მოითხოვა, რომ ტრიესტში იტალიური უნივერსიტეტი დაარსდეს.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა, 29 ოქტომბერი

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,60
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიზისაზე 100 ფრანკში	—
ლონდონისაზე ჩეკები	94,35
ბერლინისაზე „	46,0
პარიზისაზე „	37,52½
ბირჟის დისკონტი	6-7½%
4% სახელმწიფო რენტა	91⅞ გაყ
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	89½
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	415¾
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	318
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	265¾
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—
4½% ობლ. იმავე საზოგად.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ	—
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ა. მანთაშევისა და ამხ. აქცია	245

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა 15 ოქტომბრიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევს 4 ს. 20 წ., (5 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერივანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევს 10 ს.(10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევს 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევს 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევს 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4) საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერივან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევს 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუადამევს 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 დილის 5 ს. 40 წ (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 05 წ (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევს 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 4) სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ საღამ. 5—7 „
   კვირა-უქმე—დილ. 11—1 „
2. ნაძალადევში, ვლადიპროვოდის ქ., № 131.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 1[illegible]
   ღია არის დილით 1[illegible]—2 საათ.
   „ საღამ. 5—8 „

საავადმყოფოები

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი სა[illegible] ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, [illegible]ლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხნოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერ-ტე[illegible]ისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელ[illegible]მოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქ., სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო [illegible]ყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში [illegible] მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულუმიანცი.

ქალაქის უფასო ღამის თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი [illegible]ლიქიანცისა.
2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

პ. ი. ავსარქისოვის

სანერგე ყიდის საზღვარ-გარეთის, რუსეთის და კავკასიის ჯიშის ხეხილს. ადრესი ხად. ხძრა (ამიერ კავ. რკინ. გზა). ავსარქისოვს. დაწვრილებითი კატალოგები და პრეისკურანტები რუსულად და ქართულად უფასოთ ეგზავნებათ. (10—301—8)

ახალი გახსნილი

სასტუმრო არკადია ნომრები

(ყოფილი „იალტა“)

მართლმადიდებელ სემინარიის პირდაპირ, [illegible] მღდლების ქუჩ. კუთხეში. სადილი ორი თავით, [illegible] არაყით, ღვინით და ფინჯანი ყავით 45 კ. ესაკმელებით და ყავით 30 და 20 კ., ღვინო ბოთლი 25 კ. და ძვირფასიც. თვიურად იაფად და [illegible] აბონემენტები. სადილი 11—5 საათ. დილის [illegible] 5—12 ს. საღ. (88—52—65)

ექიმის შპინდლერ-ბარნაის

„მარიენბადის რედუქციური აბები“

სიმსუქნის წინააღმდეგ

და საუკეთესო სასაქმებელი საშუალება

თითო კოლოფში ჩალაგებულია 60 აბი

✦ კოლოფები წითელ ფერის ✦

დართული აქვს აღწერა იმისა, თუ როგორ უნდა მოიხმარონ საშუალება, რუსულ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე.

იყიდება ყველა საუკეთესო აფთიაქსა და საპარფიუმერიო მაღაზიებში. (3. 0—12)

СѢДЕЛЬН

СПЕЦІЯЛЬ

Безъ конкуренціи

продаются всевозможн. сѣдел.

მიხაილოვის პრ. სახლი ა[illegible]ვისა, № 92, სახაზინო სხდა[illegible]ნის ახლოს. (წ.—176—2)

№ 4711

ო-დე-ლი

(EAU DE LYS)

თეთრ ვარდის, ფერ და ყვითელ ფერისა

ყველას მიერ ცნობილი, როგორც საუკეთესო საპირფარეშო საშუალება პირის დასაბანად, ახალგაზრდობის შესანარჩუნებლად, ჭორფლის მოსაშორებლად და სახის გასაწმენდად.

მოთეთრო რძის საპონი

Sauon au lait de lys

მეტად ნაზი

ვურჩევთ ყველას იხმაროს კანის გასათეთრებლად და გასანაზებლად

ერთად ერთი მექარხნე ფერდ. მიულჰენსი

კელნი რეინზე და რიგა.

მისის უდიდებულესობის კარის ვაჭარი

(6—მც.—1)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—შოთამ ბახნასი	—	1
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	5
ბნელი, მოთხრობა—მედანიასი	—	2
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1	5
II და III ტომი თითო	1	
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	7
იგივე II და III ტომი თითო	—	6
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	8
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა	—	1
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	4
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	6
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტოსა	—	2
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	5
სიბრძნე ბალავარისა	—	3
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
ღვინის დაყენება, პროფეს. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიხ სენკევიჩისა	—	8
დასტურ-ლამა	—	9
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა		
ფიზიოლოგია—ფოსტერისა		
ხუთი რაფევისა, თარგ. სომხურიდან გ. ყვანგულისა		1

Дозволено цензурою, [illegible] ноября 1904 г.

სტამბა „[illegible]“

Электроп. Труд. Изд.—Тип.